ევროკავშირის არაფორმალური სამიტის მთავარი თემა გლობალიზაცია იქნება
A3



ერთი წარმოდგენის ორი ამბავი
A7

ობიექტური რეალობა
A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი   პარასკევი, 21 ოქტომბერი, 2005 წელი. №293 (1093)   ფასი 50 თეთრი

ამბები

განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტი და შეცდომაში შეყვანილი პატრულიც

დღეს უნივერსიტეტის რექტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრთან მივა, საგამოძიებო ჯგუფი აღძრულ საქმეზე იმუშავებს, უნივერსიტეტს კი ახალი ჯგუფი შეამოწმებს.

A2

ამბები

მტკვრის კალაპოტი თბილისს ისევ არ ეკუთვნის

როგორ გადაწყდება მტკვრის კალაპოტში მდებარე მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნების საკითხი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება ჭიაბერაშვილის მიერ ამ მიმართულებით დაწყებულ კამპანიას, როგორც ჩანს, გაგრძელება აღარ ექნება.

A2

სამართალი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მსხვერპლით დასრულდა

ძალოვანებს ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. თავდამსხმელთა ვინაობა ამ დრომდე დაუდგენელია. დაზარალებულთა თქმით, თავდამსხმელები ოსური აქცენტით საუბრობდნენ.

A5

სპორტი

რონალდუ თავდებით გაათავისუფლეს

პორტუგალიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ, რომელსაც საფრანგეთის მოქალაქის გაუპატიურებაში ედება ბრალი, ციხიდან თავდებით გაათავისუფლეს.

A6

ამინდი

	21/10	22/10
თბილისი	15	16
ტყიბული	13	16
სოხუმი	16	17
დმანისი	7	7
ბორი	10	11
ონი	7	10
ზუგდიდი	16	18
ახმეტა	15	15
გაგრა	13	14
სამტრედია	16	18

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7970
ევრო	2.1384
ბირვანქა სტერლ.	3.1404
რუბლი	0.0627

ამბები	A 2
ამბები	A 3
იურიდიული კონსულტაცია	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

სალომე ზურაბიშვილის ქართული კარიერის დასაწყისი

თამარ მაისურაძე

სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციური "დებიუტი" გუშინ რამდენიმე ათასი ადამიანის წინაშე შედგა. ზურაბიშვილმა დანაპირები შეასრულა – იპოდრომზე გამართულ აქციაზე მიკროფონისა და მეგაფონის გარეშე მივიდა და რამდენიმე მწვავე განცხადებით აღნიშნა "ახალი ცხოვრების დაწყება."

პირველ საათზე დაბარებული ხალხის ნაკადი დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში არ წყდებოდა. **"ჭკვიანი, ნიჭიერი, გენიოსი ქალი ხართ,"** – მიმართავდნენ ექსმინისტრს რიგითი მოქალაქეები. **"რატომ არ მოგვმართავს,"** – აპროტესტებდა ხანშიშესული ქალბატონი. **"...უბრალოდ, მხარდამჭერების რაოდენობა დააფიქსირა,"** – გაისმა პასუხი.

აქციაზე მისულები ზურაბიშვილს ვარდებს ჩუქნიდნენ. შეკრებილები აპლოდისმენტებით შეხვდნენ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, რომ ის საქართველოში რჩება და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

შეკრებილები აპლოდისმენტებით შეხვდნენ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, რომ ის საქართველოში რჩება.

სალომეგეიტის უცნაურობები

გიორგი ასანიშვილი

საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თანამდებობიდან გადააყენეს. დიახ, მან "პირადი განცხადების საფუძველზე", საკუთარი ნებით კი არ დატოვა პოსტი, არამედ "მოხსნეს", მთავრობიდან ძალით გაუშვეს, რაც, თავისთავად, უპრეცედენტო შემთხვევაა ბოლო წლების ქართულ პოლიტიკაში. ამ "გამონაკლისისთვის" ახსნის მოძებნა საკმაოდ იოლია: სალომე ზურაბიშვილი კომპრომისზე არ წავიდა არც პარლამენტთან და, როგორც ჩანს, არც პრეზიდენტთან. მას ბოდიშისმაგვარი რაღაც რომ "წამოსცდენოდა", ამით საპარლამენტო უმრავლესობის თავ- და პატივმოყვარეობა დაკმაყოფილდებოდა და მინისტრის გადაყენების კატეგორიული ტონი აუცილებლად შერბილდებოდა.

არსებობდა "გადარჩენის" მეორე გზაც: ზურაბიშვილს შეეძლო, შიდა სახელისუფლებო დაპირისპირებაზე ეთამაშა, რომელიმე გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფს შეკვროდა და ოპონენტებთან ბრძოლაში მოკავშირეებს დაყრდნობოდა. ეს საკმაოდ გრძელი, რთული და ინტრიგებით აღსავსე გზაა, მაგრამ ზურაბიშვილმა, სავარძლის შანარჩუნების საფასურად, საკუთარ ღირსებასთან კომპრომისებზე წასვლა არ ისურვა და გადაწყვიტა, ყველას წინააღმდეგ მარტოდმარტო ებრძოლა, რამაც იგი, ფაქტობრივად, უშანსოდ დატოვა.

საგარეო საქმეთა მინისტრის "ძალით გადაყენების" ისტორიაში რამდენიმე უცნაურობა იკვეთება. პირველ რიგში, გაოცებას იწვევს ის არნახული ერთსულოვნება, რომლითაც სალომე ზურაბიშვილს პარლამენტი აუმხედრდა. ეს "ერთიანობა" ბადებს ეჭვს, რომ დეპუტატები ზემოდან მიღებულ ისეთ სავალდებულო დაკვეთას ასრულებდნენ, რომლის შეუსრულებლობისთვის, ადრე თუ გვიან, პასუხი აუცილებლად მოეთხოვებოდათ. ასე რომ არ ყოფილიყო და საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენება ერთი რომელიმე ჯგუფის კაპრიზი ყოფილიყო, ამ მოთხოვნას საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით აუცილებლად გამოუჩნდებოდა მოწინააღმდეგეები, ხოლო სალომე ზურაბიშვილს, - დამცველები. რადგან ასე არ მოხდა, გამოდის, რომ ზემოაღნიშნულ ეჭვს აქვს "არსებობის უფლება".

გაგრძელება A3 გვერდზე

წინასაარჩევნო კამპანია რეპრესიებით გრძელდება

ნიკა თარაშვილი

აზერბაიჯანში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნების თარიღამდე ორ კვირაზე ოდნავ მეტი რჩება. მოვლენების განვითარება პროგნოზირების საშუალებას ნაკლებად იძლევა – ერთი შეხედვით, აზერბაიჯანის ხელისუფლება ყველაფერს ცდილობს, რათა არ დაკარგოს ვითარებაზე კონტროლი – აპატიმრებს ოპოზიციის წარმომადგენლებს (მათ შორის, აზერბაიჯანში არმყოფებსაც), მკაცრად სდევნის მასობრივი მიტინგების ჩატარების მცდელობებს. თუმცა, მოხდება თუ არა კიდევ ერთი "ფერადი რევოლუცია" პოსტსაბჭოთა სივრცეში, კვლავაც კითხვის ქვეშ რჩება.

გაგრძელება A3 გვერდზე

აზერბაიჯანი "რთული" არჩევნებისთვის ემზადება.

კრიტიკა და დავალებები პრეზიდენტისაგან

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გუშინ საღამოს, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარადგინა. პრეზიდენტმა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ჩამოთვალა, რასაც ახალი მინისტრი გულდასმით იწერდა.

პრეზიდენტის თქმით, უმთავრესი მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ხოლო ამის მიღწევის მთავარი საშუალება ევროატლანტიკური ინტეგრაციაა. სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი უკვე მის პირველ საპრეზიდენტო ვადაში გადაწყდება.

გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის ამოცანა უცხო სახელმწიფოს სამხედრო ბაზებისაგან საქართველოს ბოლომდე გათავისუფლება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაა, რომელიც ჯერ ხელმოწერილი არ არის.

ამავე დროს, მიხეილ სააკაშვილმა, ფაქტობრივად, გაიმეორა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა ბრალდებები ყოფილი მინისტრის მიმართ, თუმცა ისე, რომ მისი სახელი არ უხსენებია.

"იმ ქაოსს და დეზორგანიზაციას, რომელიც არის სამინისტროში, დაუყოვნებლივ უნდა დავუსვათ წერტილი. აღარასდროს არ უნდა განმეორდეს სიტუაცია, როდესაც თვეობით მიხდება ქაღალდების ლოდინი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ელემენტარული ინფორმაციის მისაღებად გვიხდებოდა ძალიან დიდი მუშაობის გაწევა. საჭიროა, სამინისტრო მოვიდეს წესრიგში, როგორც შეესაბამება საქართველოს. იმ პირობებში, როცა ყველა სხვა სამინისტრომ, ასე თუ ისე, ისწავლა მუშაობა, ეს სამინისტროც ბოლომდე უნდა ამოიქაჩოს. მე საკმარისად ვითმინე," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ახალ მინისტრს გამჭვირვალე საკადრო პოლიტიკის გატარება დაავალა და დაემუქრა კიდეც, რომ ნათესაური პრინციპებით კადრების დანიშვნის მცდელობებს მკაცრი რეაგირება მოჰყვება. სააკაშვილმა საგარეო უწყების ახალ ხელმძღვანელს პარლამენტისა და საზოგადოების მხრიდან კრიტიკის მოსმენისა და ანგარიშვალდებულებისაკენ კატეგორიულად მოუწოდა.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის კიდევ ერთ ნაკლოვანებაზე გაამახვილა ყურადღება და ახალ მინისტრს ამ საკითხზე მუშაობაც დაავალა. **"დღემდე ვერ შევძელით, გაგვეტანა მსოფლიოს დასანახად აფხაზეთში ეთნიკური წმენდის საკითხი,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მისი თქმით, ვერ მოხერხდა კონფლიქტის ზონებში მომხდარი დანაშაულების დაფიქსირება საერთაშორისო დონეზე. **"ამას უნდა აკეთებდეს ეს სამინისტრო და ვაპირებ, ძალიან მკაცრად მოგთხოვოთ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ყველაფერს გულმოდგინედ იწერდა...

24 საათი

ყოფილი მინისტრი ოპოზიციაში - ეს სასარგებლოა ქვეყნისთვის

სალომე ზურაბიშვილი საგარეო უწყების კარგი ხელმძღვანელი იყო და ის ფაქტიც, რომ მან ოპოზიციონერობა გადაწყვიტა, თვით ხელისუფლებისთვის არის კარგი – ამ მოსაზრებას ექსპერტთა უმრავლესობა ეთანხმება. შედარებით წინააღმდეგობრივია პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანების შეფასებები.

ნინო გომართელი

როდესაც დავით კირკიტაძეს დავუკავშირდით, აღმოჩნდა, რომ იგი საგარეჯოში წვეულებაზე იყო და სწორედ ამ დროს მიირთმევდა მანდილოსნების სადღეგრძელოს (როგორც თავად აღნიშნა, მათში სალომე ზურაბიშვილიც იგულისხმებოდა). საქართველოს პარლამენტის წევრმა, რომელმაც თავის დროზე სალომე ზურაბიშვილი "დაუდევრობაში" დაადანაშაულა, "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე კომენტარის გაკეთება არ სურს და გიგა ბოკერიასთან გასაუბრება გვირჩია: **"მე სრულად ვეთანხმები გიგა ბოკერიას მიერ გაკეთებულ ყველა კომენტარს, მას დაუკავშირდით."**

"თავისუფლების ინსტიტუტის" ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი სალომე ზურაბიშვილის მოღვაწეობას საგარეო უწყების ხელმძღვანელის პოსტზე საკმაოდ წარმატებულად აფასებს.

"როგორც დიპლომატი, სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ ძლიერი პროფესიონალი და, ამავე დროს, ყველაზე წარმატებული მინისტრი იყო. თუმცა, რასაკვირველია, უშეცდომო არავინაა," – აღნიშნა რამიშვილმა "24 საათთან" საუბარში.

გაგრძელება A3 გვერდზე

ავადმყოფ პატიმრებს ჯანდაცვის სამინისტრო მოემსახურება

იუსტიციისა და ჯანდაცვის მინისტრებმა თბილისის მე-5 საავადმყოფოში ის განყოფილება დაათვალიერეს, სადაც იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების, ე.წ. "რეზბალნიცის" გაუქმების შემდეგ, მძიმე ავადმყოფი პატიმრები განთავსდებიან.

უფრო ზუსტად, კოტე კემულარიამ და ლადო ჭიპაშვილმა თბილისის მე-5 საავადმყოფოს ის ტერიტორია დაათვალიერეს, სადაც, სპეციალურად დაცულ ფლიგელში, ციხიდან გადაყვანილი მძიმე ავადმყოფები განთავსდებიან.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, საავადმყოფოში პატიმრებისთვის გამოყოფილ 800 კვ მეტრის ფართზე სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების სპეციალისტები რეკონსტრუქციის სპეციალურ გეგმას შეიმუშავებენ. პატიმართა ახალ სამედიცინო დაწესებულებაში 40-დან 50-მდე პატიმრის მიღება იქნება შესაძლებელი. განყოფილების სპეციალურ დაცვას იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს.

ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაექვემდებარება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ყველა სამედიცინო პუნქტი.

"საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მე-5 საავადმყოფოში პატიმრებს უმკურნალებენ ის ექიმები, რომლებიც საქართველოს სხვა მოქალაქეებს ემსახურებიან," - განაცხადა ლადო ჭიპაშვილმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

დღეს ახალი აეროპორტის მშენებლობა იწყება

დღეს, "ტავისა და ურბანის" კონსორციუმი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის დაწყებას ოფიციალურად შეუდგება.

"15 წლისა და 6 თვის განმავლობაში ჩვენი მიზანია თურქეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის გამყარება და გაღრმავება. მოხარულნი ვიქნებით, თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოები ხელს შეუწყობს საქართველოს ავიაციის განვითარებას, რაც, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს," - ამის შესახებ გუშინ განაცხადეს "ტავისა და ურბანის" კომპანიაში. ამჟამად თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამგზავრო ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით ყველა საორგანიზაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ახალი ტერმინალის შენობა და განახლებული ინფრასტრუქტურის ამუშავება კი 2006 წლის ნოემბერშია დაგეგმილი. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ახალი ტერმინალის დასრულებამდე მგზავრების უფრო სწრაფ, კომფორტულ და ჰიგიენურ გარემოში მგზავრობისათვის, დღეს არსებულ შენობაში ზოგიერთი სიახლე იქნება შემუშავებული. ამ ცვლილებებით ტერმინალის მომხმარებლებიც ისარგებლებენ.

24 საათი

ნინო ბურჯანაძე მთავრობის გადაწყვეტილებას მიესალმება

თბილისი. უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიესალმება და აცხადებს, რომ მისთვის უკვე ყოფილი მინისტრის გუშინდელი ტონი კატეგორიულად მიუღებელი იყო.

ეს განცხადება ბურჯანაძემ კიევში, ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი თქმით, ზურაბიშვილმა ვერ გაამართლა ის იმედები, რის გამოც იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა და საქართველომ ვერ გამოიყენა არსებული შესაძლებლობები.

"კიდევ უფრო მეტი პრეტენზიები გახმოვანდება. ძალიან საინტერესო ტენდენციებია საგარეო საქმეთა სამინისტროში. გიორგი გომიაშვილი არ დავნიშნეთ ელჩად და 15 წუთში გამოაცხადა, რომ არსებული ხელისუფლების პირობებში არაფერი გამოვა და ის ოპოზიციაში გადადის. ქალბატონი მინისტრი გააკრიტიკა პარლამენტმა, დასვა მისი პასუხისმგებლობის საკითხი და როგორც ვხედავ, ლამის ოპოზიციურ მოძრაობას იწყებს. გაუგებარია, რა ხდება. ხალხი პოზიციაში ან ოპოზიციაში იმის მიხედვით არის, ექნებათ თუ არა თანამდებობა? თუ ქალბატონი მინისტრი თვლიდა, რომ ასეთი კატასტროფული მდგომარეობაა და ასეთი საშინელი პარლამენტი გვყავს, რომელიც ქვეყანას ანგრევს და დასაშლელია, ამის თაობაზე განცხადება ან გადადგომამდე უნდა გაეკეთებინა, ან ამ გუნდიდან წასულიყო," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ინტერპრესნიუსი

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად არველაძე დაინიშნა

თბილისი. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე გიორგი არველაძის დანიშვნის შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი. ამის შესახებ ჟურნალისტებს თავად გიორგი არველაძემ აცნობა. მისი თქმით, შესაბამისად, ახალ თანამდებობაზე დანიშვნის გამო, პარლამენტი მისი უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურებს დაიწყებს. გიორგი არველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობას ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა.

პრაიმ-ნიუსი

"საქართველოს რკინიგზას" ეზუგბაია უხელმძღვანელებს

"საქართველოს რკინიგზას" ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, ამიერიდან, მას ირაკლი ეზუგბაია უხელმძღვანელებს. "საქართველოს რკინიგზის" ახალი გენერალური დირექტორი თანამშრომლებს გუშინ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ წარუდგინა. როგორც მან აღნიშნა, ირაკლი ეზუგბაია მუშაობდა როგორც კერძო კომპანიებში, ასევე პრემიერის აპარატში, სადაც ტრანსპორტის სექტორს კურირებდა. ეკონომიკური განვითარების მინისტრის თქმით, ეზუგბაიას რკინიგზის განვითარების საკმაოდ სერიოზული სტრატეგიული გეგმა გააჩნია.

"საქართველოს რკინიგზის" ახალი გენდირექტორი უხლოეს მომავალში საკადრო ცვლილებებს გეგმავს და აცხადებს, რომ მოკლე ხანში თანამშრომლებს იმ კადრებს წარუდგენს, რომლებიც მას რკინიგზის განვითარებაში დაეხმარებიან. ახალი ხელმძღვანელი აქცენტს ფინანსურ და სტრუქტურულ ოპტიმიზაციაზე გააკეთებს და პროფესიონალ კადრებს შეინარჩუნებს.

ინტერპრესნიუსი

თამბაქოს ექსპერტი საქართველოში კვლევებს ჩაატარებს

საქართველოში თამბაქოს გადასახადების ცვლილებების ეფექტურობასა და კონტრაბანდისა და არალეგალური ვაჭრობის საკითხების შესწავლის მიზნით, თბილისში თამბაქოს ეკონომიკის საკითხებში ამერიკელი ექსპერტი ჰანა როსი იმყოფება. როგორც ჰანა როსიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მატერიალური დოვლათის დაგროვების მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა პოსტსაბჭოურ სივრცეში, თამბაქოს მოხმარების ასე მაღალი მაჩვენებელი რომ არა. მისი თქმით, მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებისთვის ქვეყნის მთავრობამ გარკვეულ პოლიტიკას უნდა მიმართოს, კერძოდ, გაიზარდოს თამბაქოზე გადასახადი, რაც მისი ღირებულების მომატებასაც განაპირობებს, შეიზღუდოს რეკლამა და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას თამბაქოთი გამოწვეული დაავადებების შესახებ.

საქართველოში კვლევის მეთოდების შესაბამისად, გაანალიზებული იქნება როგორც გასული წლების სტატისტიკური მონაცემები, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წარმოებული შესაბამისი თემატიკის კვლევები, პარალელურად კი მოხდება მოსახლეობის გამოკითხვა და შესაბამისი მასალის გაანალიზება, რის საფუძველზეც მომზადდება დასკვნები და რეკომენდაციები მთავრობისთვის.

პრაიმ-ნიუსი

პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინელ ინვესტორებს აქტიურობისკენ მოუწოდებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ უკრაინელ ინვესტორებს საქართველოს ეკონომიკაში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდა. ამის შესახებ მან გუშინ კიევში, უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერ ვლადიმირ ლიტვინთან შეხვედრაზე განაცხადა. **"უკრაინელი ინვესტორების საქართველოში ჩამოსვლა მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი თავიანთ საინვესტიციო შესაძლებლობებს ჩვენს ქვეყანაზე ზეწოლის მიზნით არ გამოიყენებენ,"** - თქვა ბურჯანაძემ. მან ასევე გამოთქვა იმედი, რომ უკრაინელი და ქართველი ხალხები პოსტრევოლუციურ პერიოდში მიაღწევენ სტაბილურობას და "გადალახავენ ყველა სირთულეს, რომლებიც აქამდე არსებობს." თავის მხრივ, ვლადიმირ ლიტვინმა აღნიშნა, რომ ქართულ-უკრაინული დიალოგი დინამიურად ვითარდება და ეს ორი ქვეყნის ლიდერების მჭიდრო ურთიერთობების წყალობით ხდება.

"იმედი გვაქვს, ჩვენს ქვეყნებს ევროინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობის პერსპექტივებთან დაკავშირებით ერთნაირი პოზიციები აქვთ," - თქვა ლიტვინმა.

პრაიმ-ნიუსი

განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტი და შეცდომაში შეყვანილი პატრულიც

გუშინ, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში გვიან ღამით დასრულდა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარე პროცესი: უნივერსიტეტის რექტორმა ანზორ შარაშენიძემ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლებს, მინისტრის მოადგილეს თეიმურაზ სამადაშვილს გადასცა უნივერსიტეტის 89-ე და 90-ე ბრძანებები. ერთ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის მრავალპროფილიანი ინსტიტუტის 21 სტუდენტი სასწავლებლად გადმოვიდა უნივერსიტეტში, მეორე ბრძანება კი იუწყება, რომ აღნიშნულ სტუდენტებს სასწავლო პროცესი ქუთაისში ჩაუტარდებათ: "ამის უფლება კანონით გვაქვს," - თქვა რექტორმა.

საქმე ის არის, რომ ამ ორ ბრძანებას რექტორი სამინისტროს კომისიის წარმომადგენლებს, რომლებიც მინისტრის ბრძანებით შევიდნენ უნივერსიტეტში აკრედიტაციის პირობების შესამოწმებლად, არ აძლევდა. მან აცილება მისცა კომისიას, მაგრამ როცა მათ მოპოვებული ინფორმაციით შენობის დატოვება მოითხოვეს, რექტორი პროტესტის ნიშნად წინ გადაუდგა და კარი მოუკეტა, დეკანმა კი საბუთების ხელდახელ ჩამორთმევა მოინდომა. სამინისტროს თანამშრომლების მიერ გამოძახებული პატრული ესაუბრა რექტორს, რომელმაც სამინისტროს გენერალური ინსპექციის მთავარ სპეციალისტს ნინო წერეთელს ბრალი დასდო, დეკანს "ხელით შეეხოო." პატრულმა ვაკე-საბურთალოს პოლიციას შეატყობინა და უნივერსიტეტში პოლიციაც გამოჩნდა. საქმე აღიძრა რექტორის მიერ "შეთავაზებულ" ფაქტზე და, ძალიან გვიან, დაიკითხნენ კომისიის წარმომადგენლებიც. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ ბრძანებები გამოჩნდა და ასლები სამინისტროს წარმომადგენლებმა ჩაიბარეს.

დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ანზორ შარაშენიძე.

დღეს უნივერსიტეტის რექტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრთან მივა, საგამოძიებო ჯგუფი აღძრულ საქმეზე იმუშავებს, უნივერსიტეტს კი ახალი ჯგუფი შეამოწმებს.

24 საათი

მტკვრის კალაპოტი თბილისს ისევ არ ეკუთვნის

თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა თავის დროზე რამდენიმე არაპოპულარული, მაგრამ გაბედული ნაბიჯი გადადგა. ერთ-ერთი - მტკვრის მარჯვენა და მარცხენა კალაპოტში მდებარე, 2000-2003 წლებში უკანონოდ გასხვისებული 350 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებისთვის ჩამორთმევისა და მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნების საკითხი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის ახლანდელი მერი კომენტარს არ აკეთებს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული მიწის მესაკუთრეები ვითარების გარკვევას სასამართლოში ცდილობენ.

თამარ დვალი

მიმდინარე წლის 1 მაისს, თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა "თბილისის პრემიერის განკარგულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე" ადმინისტრაციული საჩივარი მიიღო განსახილველად. საჩივარი თბილისის პრემიერის 2000 წლის №104, 2001 წლის №835, 2001 წლის №1073, 2001 წლის №615, 2002 წლის №539, 2001 წლის №1122, 2001 წლის №722 განკარგულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობას შეეხებოდა. პრემიერ შერაძის განკარგულების საფუძველზე, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასხვისებულ იქნა თბილისში, მდინარე მტკვრის კალაპოტში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

25 მაისს, თბილისის მერმა ასევე განსახილველად მიიღო თბილისის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციისა და კორუფციასთან ბრძოლის კავშირის ადმინისტრაციული საჩივარი. საჩივარი ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის მეორე შესახვევის №17-ში მდებარე საქნავთობგეოფიზიკის ლაბორატორიული კორპუსის არაკანონიერ გასხვისებას ეხებოდა. მერის გადაწყვეტილებით, პრემიერ შერაძის 2002 წლის 17 სექტემბრის №534 განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი.

მაშინდელი მერის განმარტებით, მან მასალები უფლებამოსილ პირს, ანუ ეკონომიკური განვითარების მინისტრს ალექსი ალექსიშვილს გადაუგზავნა. **"თუკი სასამართლო გაიზიარებს ჩვენს პოზიციას და საჯარო რეესტრში ჩასწორებას მოახდენს, მესაკუთრედ კვლავ სახელმწიფო გამოცხადდება. არის მიწები, რომლის გასხვისებაც კანონის მიხედვით არც აქამდე შეიძლებოდა და არც მომავალში შეიძლება. მივესალმები იმას, რომ მტკვარი ქალაქს დაუბრუნდეს,"** – ასეთი იყო ყოფილი მერის მოსაზრება სახელმწიფო ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით. ჭიაბერაშვილი, გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე, კიდევ რამდენიმე სკანდალური განცხადების გაკეთებას გეგმავდა. სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანი წყნეთში მდებარე კოტეჯების უკანონოდ გასხვისების საკითხს უკავშირდებოდა. დღეს უკანონოდ გასხვისებული მიწების შესახებ აღარავინ საუბრობს.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აღნიშნეს, მიწების საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობა განკარგავს. ასე რომ, მათ სამინისტროში აღნიშნული მასალები არ შესულა. **"ეს საკითხი ჩვენს კომპეტენციაში არ შედის,"** – განგვიმარტეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

მტკვრის კალაპოტში მდებარე მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით დღეს არც მერიაში საუბრობენ. **"დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. როგორც ვიცი, დავა კვლავ გრძელდება. ჩვენი სამსახური არ არის უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც შეუძლია სასამართლოში საქმე წარმართოს. რა ვითარებაა ამ მხრივ, დეტალურად ვერ გეტყვით,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით საყვარელიძემ.

თავად ქალაქის მერი გიგი უგულავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

როგორც მიწის ერთ-ერთი მესაკუთრის ადვოკატმა ირინა ჯობაძემ განაცხადა, მათ სარჩელი თბილისის საქალაქო ადმინისტრაციულ სასამართლოში აქვთ შეტანილი. მისივე თქმით, პროცესის თარიღი ჯერ არ არის დანიშნული.

როგორ გადაწყდება მტკვრის კალაპოტში მდებარე მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნების საკითხი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება ჭიაბერაშვილის მიერ ამ მიმართულებით დაწყებულ კამპანიას, როგორც ჩანს, გაგრძელება აღარ ექნება.

წელს, ცხრა თვეში დეპოზიტებმა 66 მილიონი ლარით მოიმატა

2005 წლის ცხრა თვეში ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებები 225,5 მლნ ლარით (25,2 პროცენტი) გაიზარდა და 1121,4 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდის მანძილზე ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებმა, უმთავრესად იურიდიული პირების ნაშთების 76,7 პროცენტით ზრდის ხარჯზე, 66,1 მლნ ლარით მოიმატა.

სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, სადეპოზიტო ვალდებულებები 39 მლნ ლარით გაიზარდა, აქედან, ეროვნული ვალუტით დენომინირებული – 11,2 მლნ ლარით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები – 14,9 მლნ აშშ დოლარით (27,8 მლნ ლარით). ზრდის 71,2 პროცენტი უცხოურ, იურიდიული პირების ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე მოდის.

საანალიზო პერიოდში სადეპოზიტო ვალდებულებების სტრუქტურაში მიმდინარე ანგარიშები 36,2 მლნ ლარით გაიზარდა და 238,8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ვადიანმა დეპოზიტებმა ეროვნულ ვალუტაში 30 მლნ ლარით მოიმატა და 57,4 მლნ ლარს გაუტოლდა. როგორც ვადიან დეპოზიტებში, ისე მიმდინარე ანგარიშებზე იურიდიული პირების ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდა ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროების საწარმოთა ანგარიშების მოცულობის მატებამ განაპირობა.

მიმდინარე წლის სექტემბერში კი, გასული წლის სექტემბერთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტები 1,7-ჯერ, მათ შორის, ვადიანი დეპოზიტები ლარებში 2,7-ჯერ არის გაზრდილი. ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების სტრუქტურა წინა პერიოდის ანალოგიურია და მისი 83,2 პროცენტი იურიდიულ პირებზე მოდის.

მიმდინარე წლის სამ კვარტალში უცხოურ ვალუტაში დენომინირებულმა დეპოზიტებმა 95,5 მლნ აშშ დოლარით (26,2 პროცენტი) მოიმატა და სექტემბრის ბოლოსთვის 460,4 მლნ აშშ დოლარი (825,2 მლნ ლარი) შეადგინა. სალარე დეპოზიტებისგან განსხვავებით, ბანკების მიერ უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების 67,3 პროცენტი ფიზიკური პირების სახსრებია. ამასთან, საანალიზო პერიოდში, მეტწილად, უცხოური ვალუტით ვადიანი დეპოზიტების მატება დაფიქსირდა. ეს ციფრი 74,9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, სავალუტო და ლარებში არსებული დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, 0,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და, 30 სექტემბრის მონაცემებით, 73,6 პროცენტს გაუტოლდა.

24 საათი

რომან გოცირიძე ნიდერლანდების სამეფოში საქმიან შეხვედრებს გამართავს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ნიდერლანდების სამეფოში ვიზიტით მიემგზავრება.

ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია შეხვედრა ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობასთან. საუბარი ორი ქვეყნის საბანკო სისტემებს შორის ურთიერთანამშრომლობას შეეხება.

დაგეგმილია შეხვედრები ჰოლანდიის სამეფო ზარაფხანის, ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიისა და ბანკნოტების მწარმოებელი კომპანიების Johan Enschede-ისა და Kusters-ის ხელმძღვანელებთან.

ვიზიტის ფარგლებში განიხილება თბილისის გარეუბანში საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი საკასო ცენტრის ორგანიზებისათვის ნიდერლანდების მხარის მიერ ფინანსურ-ტექნიკური და მეთოდოლოგიური დახმარების საკითხი. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად გრანტის გამოყოფის თაობაზე საკითხს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განიხილავს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, საერთაშორისო პრაქტიკისა და ქალაქ თბილისის განვითარების პერსპექტივის შესაბამისად, ნაღდი ფულის სალაროსა და ფასეულობის საცავის განთავსებას ქალაქგარეთ, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობაში გეგმავს. ახალი საკასო ცენტრი ნაღდი ფულით განხორციელებულ ყველა ოპერაციას გააკონტროლებს და ფასეულობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის ერთიან, დახურულ სივრცეში უსაფრთხო წარმოებას საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მოახდენს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრად გელა ბეჟუაშვილის დანიშვნა საქართველოს საგარეო კურსის ცვლილებას ნიშნავს. როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება რუსეთისაკენ გადაიხარა. "მე შეგახსენებთ გელა ბეჟუაშვილის განცხადებას, როდესაც იგი თავდაცვის მინისტრი იყო. მაშინ აცხადებდა, რომ რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან პრიორიტეტს არ წარმოადგენს. ამის შემდეგ დასკვნები თავად გააკეთეთ," - აღნიშნა გამყრელიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე "მემარჯვენეებს" და მათ ლიდერ დავით გამყრელიძეს "პოლიტიკურ შარლატანობაში" ადანაშაულებს. არველაძის განცხადებით, დავით გამყრელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოს სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გათავისუფლება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას გამოიწვევს და ის რუსეთზე ორიენტირებული გახდება, "წმინდა წყლის სისულელე და პოლიტიკური შარლატანობაა." "ახალი მემარჯვენეების" შარლატანობას წერტილი უნდა დაესვას," - განაცხადა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე არველაძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი მიიჩნევს, რომ გელა ბეჟუაშვილი კარგი საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება. მისი თქმით, ბეჟუაშვილი დიპლომატია, იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად, შემდეგ კი - მინისტრის მოადგილედ, კარგად იცნობს აღნიშნულ სისტემას და იცის, როგორ უნდა წარადგინოს საქართველოს სახელმწიფოს კურსი და მთავარი ხაზი საერთაშორისო არენაზე. სწორედ ამიტომ, გაბაშვილს მიაჩნია, რომ გელა ბეჟუაშვილი მასზე დაკისრებულ მოვალეობას საუკეთესოდ გაართმევს თავს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ეწვივნენ ევროსაბჭოს წარმომადგენლები - ჟან ლუი ლორანი და ჯერემი მოუპსი. მათ მოამზადეს სპეციალური მოხსენება საქართველოზე, რომელშიც ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაა გაანალიზებული. მოხსენების ავტორები საუბრობენ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების, სასამართლო სისტემის, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაზე, ასევე, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებში, მუსლიმანი მესხების პრობლემას, მასმედიის თავისუფლებას, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და ეროვნული თავდაცვის აპარატის საქმიანობას. თბილისში ყოფნის პერიოდში ჟან ლუი ლორანი და ჯერემი მოუპსი შეხვდებიან სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. 21 ოქტომბერს კი მათ საქართველოს პარლამენტში ელიან, სადაც ისინი დეპუტატებსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელ ელენე თევდორაძეს შეხვდებიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა თბილისში მყოფ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდს და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველს კასპიის ენერგეტიკულ და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სტივენ მანს შეხვდა. შეხვედრის დროს განიხილეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში შექმნილი ვითარება. გიორგი ხაინდრავამ ხაზი გაუსვა არსებული მოლაპარაკებების და სამშვიდობო ოპერაციების ფორმატის ნაკლოვანებებს. ამერიკელმა დიპლომატებმა სახელმწიფო მინისტრთან კიდევ ერთხელ გამოხატეს მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში. მათ განაცხადეს, რომ ამ მიმართულებით ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დაუშვებელია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ დეპუტატებს შეხვდა. პირველ ოქტომბერს გამართულ არჩევნებში, ხუთივე საარჩევნო ოლქში - ბათუმში, ქობულეთში, შუახევში, ტყიბულსა და ისანში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატებმა ჯემალ ინაიშვილმა, კობა ხაბაზმა, ელგუჯა მაკარაძემ, პავლე კუბლაშვილმა და ბიძინა ბრეგაძემ გაიმარჯვეს. შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როგორც მათ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და პრეზიდენტმა დეპუტატებს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სალომე ზურაბიშვილის ქართული კარიერის დასაწყისი

პირველი გვერდიდან

"ჩვენს მთავრობას ვერ გავუგე ვერაფერი, შეიძლება, მთავრობა საკუთარი ხელით ცდილობდეს ოპოზიციის გაძლიერებას?" – აღნიშნა იპოდრომზე მყოფმა ქალბატონმა ნუნუ ცომაიამ.

"სირცხვილი საქართველოს ღირსეული შვილების დაკარგვისთვის," – ეს ტრანსპარანტი ზურაბიშვილის მხარდამჭერებმა სახელდახელოდ დაწერეს.

"დიდი მადლობა, მაგრამ მადლობას არ გეტყვით, რადგან თქვენ არ ხართ მოსული ჩემთვის, არამედ თქვენთვის, თქვენი შვილებისთვის.

მე ახლა ვიწყებ ახალ ცხოვრებას, თქვენთან ცხოვრებას. მინდა მსოფლიომ დაინახოს, რომ საქართველოში დემოკრატია არ მომკვდარა. ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიან, რომლებიც არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს იქნებიან თავიანთ კოშკებსა და ციხეებში.

ის ხალხი, ვისაც საქართველოში დემოკრატია უნდა, აქ არის, ეს კი დიდი ძალაა," - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილი სამინისტროს თანამშრომლებს დაემშვიდობა.

"იყავით ობიექტურები და თქვით სიმართლე," – პრესის წარმომადგენლებს მიმართავდნენ იპოდრომზე შეკრებილი საზოგადოების წევრები.

"ჩვენ არ გვინდა ახალი რევოლუცია, საქართველოს ჰქონდა თავისი რევოლუცია, რაც იყო სწორი გზა, მაგრამ არ ვიცი, რატომ გადაუხვიეს ამ გზიდან," - განაცხადა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ ბრძოლას არა რევოლუციის გზით, არამედ წყნარად, ცივილიზებული ქვეყნისათვის შესაფერისად აპირებს - ახალ არჩევნებს დაელოდება. რაც შეეხება იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილ შეხვედრას, ზურაბიშვილის თქმით, **"ეს იყო არა პოლიტიკური მიტინგი, არამედ გამოხატულება იმ ადამიანთა ერთად ყოფნისა, რომლებიც არ აპირებენ ქვეყანა დაუთმონ მათ, ვინც ეს ქვეყანა რამდენჯერმე უკვე შეჭამეს."**

"ჰყავდეს ახლა, ვინც ჰყავს სააკაშვილს," - ეს და ამ შინაარსის სხვა შეძახილებიც ისმოდა.

იპოდრომის ტერიტორიის მაკონტროლებელი საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები გუშინდელ "გაუგებრობაში" არ ჩარეულან. შეკრება, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, ზურაბიშვილის წასვლისთანავე დაიშალა. თუმცა, წასვლამდე, გუშინდელი თავშეყრის ინიციატორმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით კონკრეტული გეგმები არ აქვს, თუმცა ზუსტად იცის, რომ ამ ქვეყნის, ამ ხალხის მიტოვებას ამ სიტუაციაში არ აპირებს და მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

ყოფილი მინისტრი ოპოზიციაში – ეს სასარგებლოა ქვეყნისთვის

პირველი გვერდიდან

მისი მოსაზრებით, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს მეტი დიპლომატია და პოლიტიკური კორექტულობა რომ გამოეჩინა, ვითარება ამგვარად არ დაიძაბებოდა. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც დაინტერესებულნი იყვნენ, ზურაბიშვილი საკუთარ გუნდში შეენარჩუნებინათ.

რაც შეეხება, ზოგადად, ატეხილ სკანდალს და პარლამენტის ქმედებებს, ლევან რამიშვილი მიიჩნევს, რომ აქ საუბარი იყო დემოკრატიის და კონსტიტუციონალიზმის ელემენტარულ საფუძვლებზე, რადგან "პარლამენტი - ეს არის კონსტიტუციური ორგანო, რომელმაც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საკანონმდებლო ზედამხედველობა უნდა განახორციელოს."

"ამ კრიზისმა აჩვენა, რომ პარლამენტი არა მხოლოდ აქტიური კანონშემოქმედია და არა მხოლოდ რეფორმების პრიორიტეტებს განსაზღვრავს, არამედ, იმავდროულად, სერიოზული პოლიტიკური წონითაც სარგებლობს და რაც არ უნდა წარმატებული, ავტორიტეტული ფიგურა დაუპირისპირდეს, ეს იოლად არ ჩაივლის და მარტივად არავის შერჩება," - ხაზგასმით აღნიშნა ლევან რამიშვილმა და იქვე მწუხარება გამოთქვა, რომ ეს ფიგურა ახლა სწორედ სალომე ზურაბიშვილია.

რაც შეეხება ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სამომავლო პოლიტიკურ საქმიანობას, ლევან რამიშვილი აცხადებს, რომ ეს სწორედ ქვეყანას წაადგება: **"მისასალმებელია, თუ სალომე ზურაბიშვილი გადაწყვეტს, რომ პოლიტიკური საქმიანობა გააგრძელოს. ოპოზიცია საკმაოდ სუსტია და ზურაბიშვილი შეძლებს, მთლიანი ოპოზიციური სპექტრის თუ არა, მისი დიდი ნაწილის კონსოლიდირებას, რითიც ქართული დემოკრატია მხოლოდ მოიგებს."**

მსგავსი მოსაზრება აქვს პარლამენტის ოპოზიციონერ წევრს დავით ზურაბიშვილსაც. მას მიაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილი სხვებზე ცუდი ნამდვილად არ ყოფილა, მით უმეტეს, რომ ყველა ის წარმატება, რაც ქვეყანას საგარეო პოლიტიკაში ბოლო დროს ჰქონდა, იგივე - ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე შეთანხმება, სწორედ ზურაბიშვილთან ასოცირდება.

"რაც შეეხება ბრალდებებს, რომ პარლამენტის მიმართ მას აგდებული დამოკიდებულება ჰქონდა, ალბათ, სამართლიანიც იყო. მაგრამ, პარლამენტის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველას - დაწყებული პრეზიდენტიდან, საფინანსო პოლიციის უფროსით დამთავრებული," – აცხადებს დავით ზურაბიშვილი. იგი ატეხილ სკანდალს რიგი პარლამენტარების "ბანალურ ინტერესებსაც" უკავშირებს, როგორიც არის, მაგალითად, ნათესავის მოწყობა საკონსულოში ან ვიღაცის ელჩად დანიშვნა. **"სალომე ზურაბიშვილი კი, ამ მხრივ არ იყო კონტროლირებადი. ის დამოუკიდებელი ფიგურა იყო და ანგარიშს არავის უწევდა,"** – დასძინა დავით ზურაბიშვილმა.

რაც შეეხება გუშინ იპოდრომზე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად შეკრებილ ხალხს, პარლამენტარს მიაჩნია, რომ "ეს არ არის სახუმარო თემა" და მიანიშნებს ფაქტზე – ხელისუფლებას საქმე კარგად არ აქვს.

"არის სერიოზული უკმაყოფილება და საზოგადოება იმ სახეს ეძებს, რომელსაც საკუთარ იმედებს დაუკავშირებს," – აღნიშნა "24 საათთან" ინტერვიუში დავით ზურაბიშვილმა.

საგარეო უწყების ყოფილი ხელმძღვანელის ოპოზიციაში შესაძლო გადასვლაზე იგივე კომენტარს აკეთებს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში არჩილ გეგეშიძე. მასაც მიაჩნია, რომ თუ ზურაბიშვილი ოპოზიციურ აზრს შეუერთდება, ეს მეტ ელფერს შემატებს ოპოზიციურ პალიტრას. **"ეს საქართველოსთვის კარგი იქნება, რადგან ოპოზიცია დღეს ქვეყანაში ძალიან უსახურია. ამდენად, სრულყოფილი, სრულფასოვანი და, ამავე დროს, კონსტრუქციული ოპოზიცია ქვეყნის ინტერესებს მხოლოდ წაადგება,"** – აღნიშნა გეგეშიძემ.

მისივე მოსაზრებით, საგარეო საქმეთა მინისტრის, რომელიც ზოგადად ქვეყნის სახე და სავიზიტო ბარათია, ასეთი სკანდალითა და ხმაურით გადაყენება ქვეყნისთვის კარგი ნამდვილად არ არის. მსგავსი ფაქტი გარკვეულ ეჭვს ბადებს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების საშიშროებაზე, თუმცა ექსპერტი მაინც დარწმუნებულია, რომ დასავლეთისკენ მიმართული და ევროსტრუქტურებში ინტეგრირებისთვის მებრძოლი ქართული გეზი მიმართულებას არ შეიცვლის.

სალომეგეიტის უცნაურობები

პირველი გვერდიდან

გამოთქმული ვარაუდის "დასაბუთება" ასე შეიძლება: პარლამენტის სახელისუფლებო გუნდი, ფორმალურად, ერთიან, კონსოლიდირებულ ორგანიზმს წარმოადგენს, თუმცა, მის შიგნით არსებული ჯგუფები სისტემატურად ცდილობენ ერთმანეთის დასუსტებას, რაც სულაც არ არის გასაკვირი და, თავისთავად, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ამდენად, თუ სალომე ზურაბიშვილის გადაყენების ინიციატორი რომელიმე ასეთი დაჯგუფება იქნებოდა, სხვები შემთხვევას არ გაუშვებდნენ ხელიდან, რომ შიდაკონკურენტის გეგმები ჩაეშალათ. ვინაიდან ასე არ მოხდა და საპარლამენტო უმრავლესობამ გასაოცარი ერთსულოვნება გამოიჩინა, უნდა ვიფიქროთ, რომ ოპოზიცია მართალს ამბობდა, როდესაც "დირიჟორის ხელზე" საუბრობდა...

კიდევ ერთი უცნაურობა, რომელიც "სალომეგეიტს" ახლავს თან, ის არის, რომ თანამდებობა დაატოვებინეს იმ სექტორის კურატორს, რომელშიც ხელისუფლებას, სხვა სფეროებთან შედარებით, კარგად მისდის საქმე. როგორც ჩანს, კვლავ ძალაშია შევარდნაძის მმართველობის დროინდელი ფორმულა, რომლის მიხედვითაც, საგარეო პოლიტიკაში მოპოვებული წარმატება პრეზიდენტს უნდა მიეწეროს, წარუმატებლობისთვის კი სხვამ აგოს პასუხი.

როდესაც ბოლო პერიოდში დიპლომატიურ ფრონტზე განცდილ მარცხზე აპელირებენ, სალომე ზურაბიშვილის ოპონენტები ექს-მინისტრს, პირველ რიგში, იმაში ადანაშაულებენ, რომ მან ვერ მოახერხა, ხელი შეეშალა სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ეუთო-ს მისიის მონიტორინგის შეწყვეტისთვის, აგრეთვე ვერ უზრუნველყო ამ მისიის ჩანაცვლება ევროკავშირის წარმომადგენლებით.

ძნელი სათქმელია, ამ ამოცანის გადაწყვეტა რამდენად შეესაბამებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის ძალებსა და შესაძლებლობებს. სამაგიეროდ, ხელისუფლებაში ყველას "დაავიწყდა" იმის აღნიშვნა, რომ სალომე ზურაბიშვილმა "ფრიადზე" შეასრულა პარლამენტის ურთულესი დავალება, რომელსაც დღეს ხელისუფლების ლამის ყველა წარმომადგენელი თავის დამსახურებად ასაღებს - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მოახერხა შეთანხმების მიღწევა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის (საქართველოსთვის მისაღები პირობებით!) თაობაზე.

გაოცებას უნდა იწვევდეს ისიც, რომ სალომე ზურაბიშვილის ბრალდებლების -გაეროში, რუსეთში და უკრაინაში საქართველოს ელჩების - გახმაურებული წერილის ადრესატი ქვეყნის პრეზიდენტი კი არა, პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე არიან. ამ ფაქტს, რომ რეზო ადამიამ, ირაკლი ჩუბინიშვილმა და გრიგოლ ქათამაძემ პროტესტით საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობას მიმართეს, მიხეილ მაჭავარიანი იმით ხსნის, რომ ელჩებს პარლამენტი ამტკიცებს. ამ ლოგიკით, მთავრობასაც პარლამენტი ამტკიცებს და გამოდის, რომ ყველა მინისტრმა მათი უწყებების შიგნით არსებულ პრობლემებზე სპიკერატი უნდა ჩააყენოს საქმის კურსში. თუმცა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მინისტრთა კაბინეტის არც ერთ წევრს დღემდე აზრად არ მოსვლია...

სალომე ზურაბიშვილს ბრალად დასდეს ისიც, რომ მან პარლამენტთან კონსტრუქციული ურთიერთობები ვერ ააწყო და საკანონმდებლო ორგანოსთან სათანადოდ ვერ თანამშრომლობდა. აქ, ალბათ, გასარკვევია, რა იგულისხმება "კონსტრუქციულ ურთიერთობასა" და "თანამშრომლობაში". ალბათ არა ის, რომ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბევრი თავისი კოლეგისგან განსხვავებით, დეპუტატების ლამის ყველა დაძახილზე პარლამენტში ცხადდებოდა და თავისი საქმიანობის შესახებ კანონმდებლებს ანგარიშს აბარებდა. შესაძლოა, გინესის რეკორდების წიგნში შესატანიც კი იყოს ის ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილი ერთი და იგივე პუბლიკის - საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების წევრების - წინაშე 10 დღის განმავლობაში ორჯერ წარდგა საანგარიშო მოხსენებით. თუ პირველ შემთხვევაში დეპუტატები მინისტრის მიმართ საკმაოდ ლოიალურნი იყვნენ და მისი გადაყენების მოთხოვნა აზრად არავის მოსვლია, ერთ დეკადაში პარლამენტართა ცნობიერებამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა და სალომე ზურაბიშვილის პერსონა მათთვის კატეგორიულად მიუღებელი გახდა...

სალომეგეიტის შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებისა და ცალკეული პოლიტიკოსების რეიტინგები, ალბათ, საგრძნობლად "გადათამაშდება", რა თქმა უნდა, არა ამ სტრუქტურებისა და პერსონების სასარგებლოდ. საგარეო საქმეთა მინისტრის სკანდალური "მოხსნა", პირველ რიგში, ალბათ, მაინც საპარლამენტო უმრავლესობის რენომეზე აისახება. ვინც არ უნდა იყოს სალომე ზურაბიშვილის "დამაქცევარი", ვიზუალურად, ისე წარმოჩინდა, თითქოს, საგარეო საქმეთა მინისტრი პარლამენტთან დაპირისპირებას შეეწირა. ხოლო ის, რომ ყოფილი მინისტრი "უპატრონო" არ ყოფილა და გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია ჰყოლია, გუშინ იპოდრომზე გამართულმა შეხვედრამ დაადასტურა: სალომე ზურაბიშვილის თხოვნას (და არა დაძახებას!) იმდენი ადამიანი გამოეხმაურა, რომ ბევრ პოლიტიკოსს, ალბათ, შური შეიპყრობდა. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სალომე ზურაბიშვილის "მოხსნა" სულაც არ ნიშნავს პოლიტიკურ უფსკრულში მის გადაჩეხვას. როგორც ჩანს, იგი მხოლოდ პოლიტიკური პოდიუმიდან ჩამოაბრძანეს, სადაც დაბრუნებას ექს-მინისტრი აუცილებლად შეეცდება.

რუსი ექსპერტების მოსაზრებები

"სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი ბევრად არ შეიცვლება," - მიაჩნია პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ეროვნებათაშორის ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს სერგეი მარკედონოვს. მისი თქმით. **"პრეზიდენტმა სააკაშვილმა "ქართული მიწების შეგროვება" სტრატეგიულ კურსად გამოაცხადა და მას არ შეცვლის. ამასთან დაკავშირებით საქართველოს შიდა პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების საკითხები მეორე პლანზე დარჩება, მთავარი ტერიტორიული მთლიანობა იქნება,"** – აცხადებს ექსპერტი.

მარკედონოვის თქმით, **"ჯერჯერობით, ბოლომდე გასაგები არ არის მინისტრის გადაყენების მოტივები - ეს მხოლოდ საკადრო გადაადგილებებია თუ იდეურ-პოლიტიკური უთანხმოება სააკაშვილის კურსთან დაკავშირებით."**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი კონსტანტინ კოსაჩევი სალომე ზურაბიშვილის გადაყენებას "შიდაქართული კონფლიქტის შედეგს" უწოდებს. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთი მზადაა ურთიერთობისთვის მთავრობის ნებისმიერ შემადგენლობასთან და საგარეო საქმეთა ნებისმიერ მინისტრთან.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს კოსაჩევმა "საკმაოდ არაერთგვაროვანი" უწოდა. **"ჩვენ რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ მოლაპარაკებების საკმაოდ რთული პერიოდი გავიარეთ, და იმედი გვქონდა, რომ გავწმინდეთ გზა ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ,"** - აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარე.

ამავე დროს, კოსაჩევი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ საქართველოს პარლამენტის პოზიციის გამო და აცხადებს, რომ ამასწინათ ამ საკითხზე მიღებული განცხადება **"სერიოზულ პრობლემებს ქმნის".**

24 საათი

უცხოეთი

ევროკავშირის არაფორმალური სამიტის მთავარი თემა გლობალიზაცია იქნება

ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა მეთაურების არაფორმალურ დონეზე შეხვედრა 27-28 ოქტომბერს, ლონდონის ახლოს, ჰემფთონ-ქორთის სასახლეში გაიმართება. ამ სამიტისთვის მზადება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯერ კიდევ 7 ოქტომბერს პარიზში ვიზიტისას დაიწყო. ტონი ბლერის ინიციატივით, სამიტის უმთავრესი თემა გლობალიზაცია იქნება.

"ეს შეხვედრა შესაძლებლობას მოგვცემს, ერთად განვიხილოთ სტრატეგიული პრობლემები, რის წინაშეც ევროპა უახლოეს მომავალში აუცილებლად აღმოჩნდება," - ნათქვამია პრემიერის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანია გლობალიზაციის იმ გამოწვევებზე მსჯელობა, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ერთიანი ევროპული სივრცის მოქალაქეების ეკონომიკურ კეთილდღეობას. გარდა იმისა, რომ საქმე ეხება მსოფლიოში უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბით საქონელბრუნვასა და ხალხის მიგრაციას, ევროკავშირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრებთან უსაფრთხო ზონის გაძლიერებას.

ბლერის აზრით, გლობალიზაციის გამოწვევებზე მსჯელობა მნიშვნელოვანია.

ტონი ბლერის შეფასებით, ეს სამიტი ერთ-ერთი მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორ შეიძლება გვერდზე გადაიდოს ტრადიციული ზეწოლის მექანიზმები. ნაცვლად ამისა კი, ევროპელ ლიდერებს შეეძლებათ პოლიტიკურ და სტრატეგიულ საკითხებზე ნამდვილი დისკუსია გამართონ, რამაც, საბოლოო ჯამში, ევროპულ დონეზე თანამშრომლობის დახვეწა უნდა გამოიწვიოს.

"შეხვედრის არაფორმალურმა გარემომ, ბუნებრივია, თავიდან უნდა აგვარიდოს ხანგრძლივი მისასალმებელი სიტყვებისა და წინასწარ მომზადებული მოხსენებების მოსმენა, რაც, თავის მხრივ, მეტ დროს დაგვიტოვებს ჭეშმარიტი განხილვებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის. საუბრისთვის უშუალო გარემოს შესაქმნელად ისტორიული ფონი საუკეთესო გამოსავალია," - აღნიშნავს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი.

სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრება გახდა სამიტის ტრადიციულად ბრიუსელში ჩატარების ნაცვლად, დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უძველეს ციხესიმაგრეში გამართვის მიზეზი.

რაც შეეხება არაფორმალური სამიტის სხვა საკითხებს, რომელთა განხილვის ინიციატივითაც ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუ გამოვიდა, უნდა აღინიშნოს საფინანსო სფერო. მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო საკითხები წამყვანი თემა არ იქნება ჰემფთონ-ქორთის სასახლეში, მათ განხილვას ევროპულ სახელმწიფოთა ლიდერები სიამოვნებით დათანხმდნენ. თუმცა, როგორც თავად ტონი ბლერმა აღნიშნა, ევროკავშირის ბიუჯეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, სავარაუდოდ, დეკემბერში ევროკავშირის საბჭოს შეხვედრაზე მოხდება.

უკრაინა. გუშინ კიევში, მინისტრთა კაბინეტის და უზენაესი რადას შენობებთან, დაახლოებით 4 ათასმა მაღაროელმა პიკეტი მოაწყო. მომიტინგეები ქვანახშირის მრეწველობის დაფინანსების გაზრდას მოითხოვდნენ. მაღაროელთა კოლონებმა კიევის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა, სადაც მინისტრთა კაბინეტი მდებარეობს, გადაკეტეს. საპროტესტო აქციაში უკრაინის "შრომის კავშირის" კომუნისტური და სოციალისტური პარტიების აქტივისტები მონაწილეობდნენ. აქციის მონაწილეთა აზრით, იმისთვის, რომ ქვანახშირის მრეწველობა კრიზისიდან გამოვიდეს, აუცილებელია 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამ დარგისთვის გათვალისწინებული თანხები 400 მილიონი დოლარით გაიზარდოს. გარდა ამისა, მაღაროელები სახელფასო დავალიანების დაფარვის და საარსებო მინიმუმის გაზრდის თხოვნითაც გამოდიოდნენ.

საგულისხმოა, რომ გუშინ უკრაინის უზენაესმა რადამ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დაიწუნა და პირველი მოსმენა 1 ნოემბრისთვის დანიშნა. დეპუტატები ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 3 პროცენტამდე გაზრდას მოითხოვენ, მაშინ როცა მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტით დეფიციტი მთლიანი ეროვნული პროდუქტის 1,9 პროცენტს შეადგენს. ამით დეპუტატებს ბიუჯეტის სოციალური ხარჯების გაზრდა სურთ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

ერაყი. ბაღდადში გუშინ მორიგი ტერაქტი განხორციელდა. ამჯერად ექსტრემისტთა მსხვერპლად სკოლის მოსწავლეები იქცნენ. უცნობმა პირებმა ქალაქის ცენტრალურ სკოლას ნაღმტყორცნიდან გაუხსნეს ცეცხლი. შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ხუთი და დაიჭრა ოცი ბავშვი. **ნიუს.რუ**

■ ■ ■

ევროპა. ევროკავშირმა შინაური ფრინველის იმპორტი პრაქტიკულად რუსეთის მთელი ტერიტორიიდან აკრძალა. აკრძალვა არ ვრცელდება მხოლოდ სანკტ-პეტერბურგზე, კარელის ოლქზე, კალინინგრადსა და მურმანსკზე.

ბრიუსელმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ციმბირში და ტულის ოლქში "ფრინველის გრიპი" დაფიქსირდა. ამ საშიში ინფექციური დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, მოსკოვის ოლქის მეფრინველეობის ფაბრიკაში კარანტინის რეჟიმი გამოცხადდა. რუსეთის გარდა, ბოლო ხანებში "ფრინველის გრიპით" შინაური ფრინველების დაავადების შემთხვევები რუმინეთში, თურქეთსა და ჩინეთშია დაფიქსირებული. ტაილანდში კი საშიშმა ვირუსმა ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. **24 საათი**

■ ■ ■

საბერძნეთი. საბერძნეთში სამგზავრო მატარებელი, რომელიც ალექსანდროპოლისი-სალონიკი-ათენის მიმართულებით მოძრაობდა, რელსებიდან გადავიდა. ინციდენტის შემდეგ მატარებელს ხანძარი გაუჩნდა. დაშავდა სამი ადამიანი. შემთხვევის ადგილზე მაშველები მუშაოდნენ. საბერძნეთის სახელმწიფო სარკინიგზო კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, სარკინიგზო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. **ნიუს.რუ**

■ ■ ■

ყირგიზეთი. ყირგიზეთში სამართალდამცავ ორგანოთა და კონსტიტუციური კანონმდებლობის დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარე ტიმიჩბექ აკმატბაევი ნომერ 31 კოლონიის დათვალიერებისას პატიმრებმა მძევლად აიყვანეს, ხოლო მისი მცველები დახოცეს. კოლონიაში მხარეებს შორის გახსნილი ცეცხლის შედეგად სულ ოთხი ადამიანი დაიღუპა. აკმატბაევი ამჟამადაც კოლონიაშია, ხოლო პატიმრებს ხელისუფლებისთვის რაიმე მოთხოვნები ჯერ არ წაუყენებიათ. **ვესტი.რუ**

წინასაარჩევნო კამპანია რეპრესიებით გრძელდება

პირველი გვერდიდან

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა კატეგორიულად გამორიცხა მის ქვეყანაში საქართველოს და უკრაინის რევოლუციების მსგავსი მოვლენების განმეორება. ამერიკელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომლის შესახებაც გუშინ აზერბაიჯანის ოფიციალური საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, პრეზიდენტი ალიევი აცხადებს, რომ ყველა ქვეყანას საკუთარი განვითარების გზა აქვს, თავისი პრობლემები, თავისი მიღწევები და რომ დღევანდელი აზერბაიჯანი ძალიან განსხვავდება მეზობელი ქვეყნებისგან. **"თუ შეადარებთ აზერბაიჯანში წინასაარჩევნოდ არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას საქართველოსა და უკრაინასთან, უეჭველად შენიშნავთ განსხვავებას. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ აზერბაიჯანში ხალხი ხელისუფლების პოლიტიკას უჭერს მხარს,** - ირწმუნება პრეზიდენტი, - **სხვადასხვა სტრუქტურების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვების მონაცემებით, მე, როგორც პრეზიდენტს, მოსახლეობის 70-77 პროცენტი მიჭერს მხარს. როგორც წესი, ამგვარ სიტუაციაში რევოლუციები არ ხდება."**

გარდა ამისა, აზერბაიჯანის პრეზიდენტის თქმით, ოპოზიცია "არაორგანიზებული და სუსტია". გამარჯვების მისაღწევად ოპოზიციურმა ძალებმა შეიძლება მხოლოდ ძალადობას მიმართონ, **"მაგრამ ყველაფერი ეს სერიოზულად იქნება აღკვეთილი კანონის ფარგლებში,"** - განაცხადა ალიევმა.

ოპოზიცია რომ მართლაც გაცილებით სუსტია, ვიდრე საქართველოში ან იგივე უკრაინაში, დღემდე თავად ოპოზიციისთვისაც ნათელი იყო. მაგრამ როგორ უნდა გაძლიერდეს ოპოზიცია, როცა მის ერთ-ერთ ლიდერს აზერბაიჯანში ჩასვლისთანავე დაპატიმრება ელოდება, ხოლო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა გულშემატკივრებს სასტიკად სდევნიან ბაქოში? მაგალითად, გუშინ ოპოზიციისთვის ფინანსური დახმარების ბრალდებით ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი ფარჰად ალიევი და ჯანდაცვის მინისტრი ალი ინსანოვი დააკავეს. მანამდე თანამდებობიდან გაათავისუფლეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმეთა მმართველი აკიფ მურადვერდიევი, განათლების მინისტრი მისირ მარდანოვი და შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალი ნაგიევი.

ალბათ, "დამთხვევა" იყო, რომ გუშინ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე გაკეთებული კომენტარი, რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფთან სერგეი ლებედევთან შეხვედრას მოჰყვა. ხოლო პარლამენტმა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა აღადგინა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორად დასახელებული ოპოზიციონერი, პარლამენტის ექს-სპიკერი რასულ გულიევი, საეჭვოდ "გაიჭედა" სიმფეროპოლში. აზერბაიჯანის პრეზიდენტის თქმით, ბაქო ყველა ღონეს იხმარს, რათა ის, "რაც შეიძლება მალე წარდგეს სასამართლოს წინაშე". აზერბაიჯანის პრეზიდენტმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოფიციალურმა ბაქომ გულიევს ქვეყანაში დაბრუნების საშუალება არ მისცა. **"როგორ უნდა გვეთქვა მისთვის დაბრუნებაზე უარი, თუ ახლა რასულ გულიევის ქვეყანაში ექსტრადიციას მოვითხოვთ?"** - თქვა ალიევმა.

აზერბაიჯანის მოთხოვნით, უკრაინული ინტერპოლის თანამშრომლებს 17 ოქტომბერს სიმფეროპოლის აეროპორტში რასულ გულიევის დაკავება მოუხდათ. გუშინ სიმფეროპოლის რაიონულმა სასამართლომ იგი გაათავისუფლა დარბაზიდან. როგორც ინტერნეტ-საიტი "უკრაინსკაია პრავდა" იუწყება, აზერბაიჯანულმა მხარემ, რომელიც გულიევის ექსტრადიციას მოითხოვდა, სასამართლო ვერ დაარწმუნა იმაში, რომ ყოფილი სპიკერის წინააღმდეგ აღძრული საქმე პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებს. გარდა ამისა, ბაქოს მიერ წარმოდგენილი საბუთების უმრავლესობა დაუმოწმებელი ქსეროასლები იყო, რომელთაგან უმეტესობა ხელმოწერილიც კი არ არის. ბუნებრივია, ვერდიქტმა შესაძლოა აზერბაიჯან-უკრაინის ურთიერთობა გააუარესოს. ალბათ, ამის გამო იყო, რომ აეროპორტში წასული გულიევი უკვე მეორედ დააკავეს.

დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე მან სააგენტო "პრაიმ-ნიუსს" განუცხადა, რომ **"აზერბაიჯანის ხელისუფლებამ თავისი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების ახალი ტალღა წამოიწყო".** მან ასევე კატეგორიულად უარყო „სახელმწიფო გადატრიალების" მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობა. რასულ გულიევის აზრით, ძნელია იმის პროგნოზირება, მოხდება თუ არა შეიარაღებული დაპირისპირება, მაგრამ ფაქტია, რომ, უდავოდ, დაიწყება მასობრივი დაუმორჩილებლობა, რაც, ალბათ, მოვლენების ქართული სცენარით განვითარებას გამოიწვევს.

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია; სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

1

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ხოჯამშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

ნანული წერეთელი

დედის მამამ (ბაბუამ) ანდერძით დამიტოვა საცხოვრებელი სახლი 573კვ/მ მიწის ნაკვეთით (საკარმიდამო ნაკვეთია) ქ.ხაშურში. ბაბუა გარდაიცვალა 1990 წელს. მაქვს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ნოტარიუსით დამტკიცებული და სახლის ტექ.პასპორტი. მინდა, გავყიდო საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნახევარი. ამისათვის რა საბუთები დამჭირდება და რა ოფიციალური გადასახადია, ვიხდი თუ არა მიწის გადასახადს და კონკრეტულად რამდენს, რომელი წლიდან?

ქალბატონო ნანული,

ახალი საგადასახადო კოდექსის (ძალაშია 2005 წლის 1-ლი იანვრიდან) 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, თქვენ არ გეკუთვნით ქონების გადასახადის გადახდა, რომელიც მოიცავს გადასახადს უძრავ ქონებაზე, კერძოდ :

მუხლი 276. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მესაკუთრე, რომლის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს.

რაც შეეხება ქონების გადასახადის მეორე ქვესახეობას, მიწის გადასახადს, 273-ე მუხლის მე-8 ნაწილის და 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ღ" ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 273. გადასახადის განაკვეთები

8. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ პირთათვის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების არა უმეტეს 0,24 ლარის ოდენობით.

მუხლი 276. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ღ) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული, 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

რაც შეეხება ძველი საგადასახადო კოდექსით დაწესებულ გადასახადებს, თქვენ ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში შეგიძლიათ, გაიგოთ, თუ რა სახის გადასახადი და რამდენი გაქვთ გადასახდელი. უძრავი ქონების გასაყიდად საჭიროა სანოტარო წესით დამტკიცებული ნასყიდობის ხელშეკრულება და შემდეგ მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ხელშეკრულების დადებისას თან უნდა იქნეს წარდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ქონება თქვენ გეკუთვნით და გაქვთ იურიდიული უფლება მისი განკარგვისა. სამოქალაქო კოდექსის 479-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 479. უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები

მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

მარიამ კვინტრაძე

ა/წლის 21 აგვისტოს გარდამეცვალა დედა, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, პენსიას იღებდა 45 ლარს, ვსარგებლობდით კანონით დადგენილი შეღავათებით. მე ვარ პენსიონერი, უმუშევარი, მისი დაკრძალვის ხარჯები მე გავიღე. ვაკე-საბურთალოს რაიონის ვეტერანთა საბჭომ გაუწია ფულადი დახმარება, მაინტერესებს საპენსიო ფონდიდან ეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება? გთხოვთ, მიპასუხოთ მისი შეღავათები, რომლითაც დედის სიცოცხლეში ვსარგებლობდით, მასთან მცხოვრებ პენსიონერ შვილზე ვრცელდება თუ არა?

ქალბატონო მარიამ,

"ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

მუხლი 16. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა /გარდაცვლილთა/, მათ შორის ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა,ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა/შემგომში დაღუპულთა,გარდაცვლილთა/ სოციალური დაცვა

1. ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:

ა) შრომიუუნარო მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;

გ) არასრულწლოვან /18 წლის ასაკამდე/ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომიუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული /გარდაცვლილი/ პირის კმაყოფაზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას.

ამრიგად, თუ თქვენ აკმაყოფილებთ ამ პირობებს, იმ შემთხვევაში ისარგებლებთ ამ კანონით დაწესებული შეღავათებით. 2005 წლის "სახელმწიფო ბიჯეტის შესახებ" კანონის თანახმად, მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთ სულიან ოჯახებს ეძლევათ დახმარება 22 ლარის ოდენობით, ხოლო არამომუშავე ორ და მეტ სულიან პენსიონერთა ოჯახებს ეძლევათ დახმარება 35 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა რაიმე დახმარებებს, ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ ადგილობრივ საპენსიო ფონდში განცხადების მიმართვით, რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია მოგცეთ ამომწურავი პასუხი.

ლევან თათარაშვილი

ტელეკომპანია "იმედის" ეთერით მოვისმინე რეკლამა იმის შესახებ, რომ ინდ. მეწარმე, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, განთავისუფლებულია ყველა გადასახადისაგან. რამდენად შეესაბამება

ეს რეკლამა სიმართლეს, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია ამ საკითხზე?

ბატონო ლევან,

საგადასახადო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 165. გადასახადის გადამხდელი

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი.

მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ლ) იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

მუხლი 169. გადასახადის გადამხდელი

1. მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) საქართველოს საწარმო;

ბ) უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

2. ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნი მოგების გადასახადს გადაიხდიან ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 25. საწარმო

1. საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით.

2. საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო

მუხლი 266. გადასახადის გადამხდელი

სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

ა) დამქირავებელი;

ბ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოში

გაწეულ მომსახურებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს;

გ) მეწარმე ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები (ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად), რომლებიც საქართველოში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

მუხლი 206. თანამფლობელობა

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა წარმონაქმნების ერთობლივი ფლობის (თანამფლობელობის) შემთხვევაში დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) მიეკუთვნება მათ მფლობელებს წილის შესაბამისად და ჩაირთვება მათ ერთობლივ შემოსავალში.

ამრიგად, ინდ.მეწარმე არ წარმოადგენს რა საგადასახადო კოდექსის თანახმად საწარმოს, არ იხდის მოგების გადასახადს, მას ეკისრება

N	საქმიანობის სახე	ფართობის მაქსიმალური ოდენობა $მ^2$
1	2	3
	სექცია A	
1.	01.41.1 ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება: – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით.	
	სექცია D	
2.	17.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება.	20
3.	17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება.	15
4.	18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.	10
5.	18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – საცვლების წარმოება.	10
6.	18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თავსაბურავების წარმოება.	10
7.	18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული: – დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.	10
8.	20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება – ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება; – ხის სარეცხო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება.	20
9.	26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება.	20
10.	28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება.	20
11.	36.30 კლასით გათვალისწინებული: – მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება – აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის ტუჩის გარმონიკების წარმოება; – სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება ინსტრუმენტების წარმოება.	15
12.	36.62. კლასით გათვალისწინებული: – ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.	10
	სექცია G	
13.	50.20 კლასით გათვალისწინებული: – ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.	40
14.	52.7 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან	20
15.	52.71 კლასით გათვალისწინებული: – ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.	20
16.	52.72 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.	20
17.	52.73 კლასით გათვალისწინებული: – საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.	2
18.	52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.	10
19.	52.74.9 კლასით გათვალისწინებული: – საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.	20
	სექცია H	
20.	55.23.0 ქვეკლასით – სხვა საცხოვრებელი ადგილები– გათვალისწინებული: – საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შალებში), კოტეჯებში და ბინებში.	60
	სექცია K	
21.	74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – სამდივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა.	5
22.	93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.	20
23.	93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული: – თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება.	20
24.	95.0 კლასით გათვალისწინებული: – შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.	

მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის გადახდა როგორც ფიზიკურ პირს (გარდა 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისისა). რაც შეეხება სოციალურ გადასახადს, თუ ინდ. მეწარმე არ იყენებს დაქირავებულ შრომას, არ ეკისრება არც ამ გადასახადის გადახდა. ინდ.მეწარმეს ეკისრება ქონების გადასახადის გადახდა (რაც მოიცავს გადასახადს უძრავი ქონებისათვის და მიწისათვის). დ.ღ.გ-ის გადახდა ეკისრება, თუ წლის განმავლობაში მისი ფულადი ბრუნვა აღემატება ასი ათასს ლარს, აქციზის გადახდა ეკისრება, თუ აწარმოებს აქციზურ საქონელს ან მის იმპორტს, ან შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტს.

ევგენია ფულარია

ვარ სამამულო ომის ვეტერანი. 2002 წელს გამიკეთეს ოპერაცია და დაავადდი. 2002 წლის ნოემბრიდან 2003 წლის მაისამდე ვიყავი საავადმყოფო ფურცელზე. 2002 წლის ფასიანი შვებულებით არ

მისარგებლია. სამსახურში მისვლისას უფროსს ვთხოვე 2002-2003 წლის ფასიანი შვებულების მოცემა. მან მიპასუხა: ფასიან შვებულებას არ ვიძლევით და ისარგებლე უფასო შვებულებითო. სექტემბერში გავედი უფასო შვებულებაში. ნოემბრის ბოლოს სამსახურში ყოფნისას გავხდი ცუდად. დეკემბრიდან აპრილამდე ვიყავი საავადმყოფო ფურცელზე.

აპრილში ისევ ვითხოვე ფასინი შვებულება, ისევ უარი მითხრეს და განმიმარტეს, რომ ყველა ფასიან შვებულებას ამინაზღაურებდნენ სამსახურიდან წასვლის შემდეგ. 2005 წელს დავწერე ავადმყოფობის გამო განთავისუფლებაზე განცხადება. მაგრამ აუღებელ ფასიან შვებულებას არ მინაღდებენ. მეკუთვნის თუ არა 2002—03-04 წლების ფასინი შვებულება.

ქალბატონო ევგენია,

შრომის კანონთა კოდექსის 65-ე და 67-ე მუხლების თანახმად:

მუხლი 65. ყოველწლიური შვებულება

ყველა მუშასა და მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით (67-ე და 69-ე მუხლები).

მუხლი 67. შვებულება

1. ყველა მუშაკს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და ხელფასის შენარჩუნებით.

2. მუშაკის ყოველწლიური შვებულება მოიცავს არანაკლებ 24 სამუშაო დღეს, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. დაუშვებელია ყოველწლიური შვებულების შეცვლა ფულადი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვნილ პირს შვებულებით არ უსარგებლია.

5. შრომის მავნე პირობებზე დასაქმებულ ან არანორმირებული სამუშაო დღის მქონე მუშაკებს ეძლევათ დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შინაგანაწესით ან შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული წესით.

6. დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობის და მშობიარობის დროს აღებული შვებულება ყოველწლიურ შვებულებაში არ ჩაითვლება.

ამრიგად, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ფულადი ანზღაურება.

ელდარ დვალიშვილი

1974 წელს ვანში სულორში გარდაიცვალა ბებია და კომლი გაუქმებულა, რომელიც 1980 წელს შევიტყვეთ, როცა საერთო

საკუთრების ეზო და სახლ-კარი ბიძაჩემმა ამავე სოფლის მაცხოვრებელს მიჰყიდა. მივმართეთ სათანადო ინსტანციებს და საბოლოოდ სათანადო ფულადი ანაზღაურებით ხის სახლი გადაიდგა შეთანხმებულ ადგილზე, 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის მონიშვნით, რომელიც, როგორც პენსიონერს, დედაჩემს ეკუთვნოდა და მასზე საბუთები მეურნეობის გამგეობაში დაუტოვე მდივანს. 2003 წელს ჩამოსახლებულმა სახლი დაშალა შეუთანხმებლად. მივმართე სხვადასხვა ინსტანციებს 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის დაკანონებაზე და სახლის აღდგენაზე. 1999 წლის 16 მაისის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის N317 ბრძანებულების შესაბამისად მიწის ნაკვეთის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის მიღებისათვის ვის მივმართო?

ბატონო ელდარ,

თქვენ უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს, 2005 წლის "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მიხედვით:

მუხლი 8. საჯარო რეესტრი

1. საჯარო რეესტრი არის უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების, უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ბინის მესაკუთრეთა შორის დადებული შეთანხმებების, აგრეთვე მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებების რეგისტრაციის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა.

2. საჯარო რეესტრში შედის:

ა) უძრავი ნივთების რეესტრი;

ბ) მოძრავი ნივთების რეესტრი.

ავადმყოფ პატიმრებს ჯანდაცვის სამინისტრო მოემსახურება

პირველი გვერდიდან

მსჯავრდებულთა და პატიმართა ახალი სამკურნალო დაწესებულება 250 ადგილზეა გათვლილი, თუმცა, მინისტრების განცხადებით, 50 ადგილი სრულიად საკმარისი იქნება მძიმე ავადმყოფებისათვის, ვინაიდან ქუთაისისა და რუსთავის ახალ საპყრობილეებში 80 და 60-ადგილიანი სამედიცინო ნაწილები გაიხსნება. **"იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი უკვე გაუქმებულია, ესეც არის ერთი ნაბიჯი იმისაკენ, რომ პატიმართა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივა გახდეს,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა, რომლის თქმითაც, აღნიშნული ცვლილება 2007 წლისთვის იგეგმებოდა, თუმცა სამინისტროებმა, მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის განხორციელება ნაადრევად დაიწყეს.

მინისტრების ინფორმაციით, მე-5 საავადმყოფო პატიმარი პაციენტების მიღებას 2006 წლის გაზაფხულიდან შეძლებს.

ორი მინისტრის მიერ გუშინ მოწყობილი პრეზენტაციის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც, **"არასამთავრობო ორგანიზაციის ზოგიერთი, ეგრეთწოდებული ადამიანის უფლებათა დამცველის განცხადება, თითქოს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტს დაექვემდებარა, სიმართლეს არ შეესაბამება და მიზანმიმართულ სიცრუეს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი უქმდება, იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის დეპარტამენტს კი ციხის სამედიცინო ნაწილების მხოლოდ მონიტორინგის უფლება რჩება."**

თუმცა, ავადმყოფი პატიმრებისთვის მკურნალობის კურსის ჩატარებასთან დაკავშირებით უკვე შეიქმნა პრობლემები. საქმე ისაა, რომ ინსულტიანი პატიმრის მიღებაზე სამმა საავადმყოფომ გუშინ უარი განაცხადა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ინსულტის დიაგნოზით შეიყვანეს მსჯავრდებული, 56 წლის ევგენი შარვაშიძე, რომელსაც დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის სპეციალიზებულ კლინიკაში ესაჭიროებოდა გადაყვანა. თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო მის მიღებაზე საავადმყოფოებმა უარი განაცხადეს.

კოტე კემულარიას განცხადებით, ასეთი ფაქტები იშვიათობას არ წარმოადგენს. წუხელ, სამი საათის განმავლობაში სასწრაფო დახმარების ავტომანქანით პატიმარი ჯერ ნევროლოგიის ეროვნულ ცენტრში, შემდეგ თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის კლინაკში, ბოლოს კი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს, თუმცა საადმყოფოებმა პაციენტი არ მიიღეს. პირველ კლინიკაში - უშუქობის, მეორეში - რეანიმაციაში ხელოვნური სასუნთქი აპარატის უქონლობის, ხოლო მესამეში - უადგილობის გამო. საბოლოოდ, შარვაშიძის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხის გადაწყვეტა მეორე დღეს, იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევის შემდეგ, მაინც მოხერხდა. მას დიაგნოსტიკას ჩაუტარებენ და მკურნალობას დაუნიშნავენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

იუსტიციისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით, ეს პრობლემა მოიხსნება მას შემდეგ, რაც თბილისის მე-5 საავადმყოფოში პატიმრებისათვის სპეციალური, 50-ადგილიანი განყოფილება მოეწყობა.

კონსტანტინე კემულარიას ინფორმაციით, ამ დროისათვის ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში სამკურნალოდ შვიდი პატიმარია გადაყვანილი.

24 საათი

ინტერპრესნიუსი

ორი მინისტრის ერთობლივი ბრიფინგი.

„კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ პარლამენტი კანონს მიიღებს

პარლამენტის იურდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა პრეზიდენტის ინიციატივით მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ე.წ. კანონიერ ქურდებთან ბრძოლას ეხება.

კანონპროექტი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ დეკანოიძემ წარმოადგინა.

კანონპროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაექვემდებარება ყველა ის პირი, რომელიც ე.წ. ქურდული კანონებით ცხოვრობს და აღიარებს კანონიერი ქურდების ინსტიტუტს.

„ქურდული ინსტიტუტები ჩვენი საზოგადოების მძიმე სენია. ასეთი კატეგორიის ადამიანებს საზოგადოების ყველა ფენაზე დიდი გავლენა აქვთ, ამიტომაც მათთან დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ბრძოლა. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლისას გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებები და გარწმუნებთ, ტყუილად ქურდული კანონებით ცხოვრებას ვერავინ ვერავის დააბრალებს," - განაცხადა იურდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა.

მედიანიუსი

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს აუქციონს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური იწვევს ჯართის შეძენაში დაინტერესებულ პირებს ჩამოწერილი და ექსპლუატაციიდან გამოსული ორი ერთეული პნევმოგადამტვირთავი "ჰართმანი"-ს ჯართად რეალიზაციის მიზნით გამართულ აუქციონში მონაწილეობისათვის. სარეალიზაციო ობიექტის მონაცემებია:

ობიექტის დასახელება	წონა (ტონა)	საწყისი ღირებულება (აშშ დოლარი)	ბიჯი (აშშ დოლარი)
პნევმოგადამტვირთავი "ჰართმანი" (ინვ. N13) -დემონტირებული, დასაჭრელი.	88,9 ტ.	5334 $	106,68 $
პნევმოგადამტვირთავი "ჰართმანი"- (ინვ. N14) დასამლელი-დასაჭრელი.	151,8 ტ.	7590 $	151,80 $

აღნიშნული პნევმოგადამტვირთავი ერთეულები განთავსებულია ნავსადგურის ტერიტორიაზე.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან **ერთი თვის ვადაში** მოახდინოს პნევმოგადამტვირთავი "ჰართმან"-ების ნავსადგურის ტერიტორიიდან გატანა.

გამყიდველი: შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური".

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარის, ხოლო იურიდიულ პირთათვის 20 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილ უნდა იქნეს სს "თი ბი სი ბანკი"-ს ბათუმის ფილიალში, ბანკის კოდი: ბანკის კოდი 220101835, ანგარიშის ნომერი 34700347.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს ნავსადგურის მოთხოვნებს პირი იღებს "მონაწილის ბილეთს".

პირი, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ორივე "ჰართმანი"-ს ჯართის სახით შეძენის ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს "ბე" თითოეულ ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე. აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან **15 კალენდარული დღის** განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 24 ოქტომბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე (შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური", ქუთაისის ქ.N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება).

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 25 ნოემბერს დღის 11 საათზე, მისამართი: ქ.ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N11, მეორე სართული, ბათუმის ნავსადგურის სააქტო დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი ბილეთის საბანკო ქვითარი.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და აუქციონში მონაწილეობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება.

დამატებითი ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ.ბათუმი, ქუთაისის ქ.N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება, ტელ:74914.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..

საკონტაქტო ტელეფონი..

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. სუპერმარკეტი "[illegible]" ([illegible]);
2. სუპერმარკეტი "[illegible]";
3. სუპერმარკეტი "[illegible]";
4. სუპერმარკეტი "[illegible]";
5. სუპერმარკეტი "[illegible] II";
6. სუპერმარკეტი "[illegible]";
7. სუპერმარკეტი "[illegible] II", ([illegible]);
8. სუპერმარკეტი "[illegible] I";
9. სუპერმარკეტი "[illegible]";
10. [illegible] 46 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] გაზეთ "24 საათის" [illegible] წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

მოკლედ

საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულმა მოიმატა

შს სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მონაცემებით, ბოლო ცხრა თვეში საქართველოში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 563 სისხლის სამართლის დანაშაულია დაფიქსირებული, რაც 2004 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 117-ით მეტია. გამოვლენილია დანაშაულებათა ჩამდენი 138 არასრულწლოვანი.

ინსპექციის უფროსის მალხაზ ფოლადაშვილის განცხადებით, დანაშაულთა შორის განსაკუთრებით მძიმეა 221 შემთხვევა, მძიმე - 175, განზრახ მკვლელობა - 4, მკვლელობის მცდელობა - 5, სხეულის განზრახ დაზიანება - 9, გაუპატიურება - 5, ქურდობა - 316, ყაჩაღობა - 33.

დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა ასაკი 14-18 წლამდე მერყეობს.

მისივე ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მასშტაბით დანაშაულებათა რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა, საპირისპირო ვითარებაა ამ თვალსაზრისით თბილისში. წლეულს ცხრა თვის განმავლობაში დედაქალაქში აღრიცხულია 110 დანაშაული, რაც შარშანდელთან შედარებით 12 ერთეულით ნაკლებია. თუმცა თბილისში იმატა ჯგუფურმა დანაშაულებმა, რომლებშიც მონაწილეობდა 22 სრულწლოვანი.

"არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულებათა რაოდენობის შემცირების ტენდენცია მხოლოდ თბილისში შეინიშნება, რასაც ხელს უწყობს საპატრულო პოლიციის აქტიური მუშაობა და არასრულწლოვანთა ინსპექციის პროფილაქტიკური რეიდების პერიოდულად გატარება," - განაცხადა ფოლადაშვილმა და დასძინა, რომ შემცირების ტენდენცია დამშვიდების საშუალებას არ იძლევა.

"ქვეყანაში არასრულწლოვანთა ხაზით ოპერატიული ვითარების გაუარესებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან არსებულ არასრულწლოვანთა კომისიების ფუნქციონირების შეწყვეტამ, გლდანში მდებარე ე.წ. მიმღებ-გამანაწილებლის ფუნქციების შეზღუდვამ, დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან საქმიანი კონტაქტების მოშლამ," - თქვა ფოლადაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ მაია კოპალეიშვილი დაინიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა მოსამართლე მაია კოპალეიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნა.

მაია კოპალეიშვილი მოსამართლედ წელს, 22 სექტემბერს დაინიშნა, ხოლო კოლეგიის თავმჯდომარედ მის დანიშვნაზე პრეზიდენტმა 17 ოქტომბერს მოაწერა ხელი.

მაია კოპალეიშვილი ბოლო წლების განმავლობაში "აირის-საქართველოში" სახელმწიფო დაწესებულებებში ადმინისტრაციული პროცესის გამჭვირვალობის პროექტის ხელმძღვანელი იყო. იგი ადმინისტრაციული სამართლის პროფესორია და მუშაობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. **ჯი-ეიჩ-ენი**

იმერეთში ყაჩაღობაში ორი ეჭვმიტანილი დააკავეს

იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა დღეს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება ცხელ კვალზე დააკავეს.

ბაღდათის რაიონის სოფელ ბინთან ავტომაგისტრალზე თერჯოლელ ხვიჩა ცერცვაძეს, რომელიც საკუთარი მერსედესის ტიპის მიკროავტობუსით გადაადგილდებოდა, გზა ოთხმა შეიარაღებულმა პირმა გადაუღობა. მათ იარაღის მუქარით ცერცვაძე მანქანიდან გადმოსვეს და მიკროავტობუსი გაიტაცეს.

სამართალდამცველები გამტაცებლებს დაედევნენ. ორმა მიმალვა მოასწრო. ხოლო აფხაზეთიდან დევნილები, წყალტუბოს ერთ-ერთ სანატორიუმში დროებით მცხოვრები 36 წლის ბორის გვასალია და 27 წლის გიორგი კინწურაშვილი თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანთან აიყვანეს. დაკავების დროს მათ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რა დროსაც გიორგი კინწურაშვილი ზურგის არეში დაიჭრა. მას ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში ოპერაცია უტარდება. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია გადაჭრილი თოფი, რევოლვერი, ფ-1 ტიპის ხელყუმბარა და გატაცებული მიკროავტობუსი. **ინტერპრესნიუსი**

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მსხვერპლით დასრულდა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მსხვერპლით დასრულდა. გუშინწინ, ფრონეს ხეობაში, სოფელ დვანში, ჯერჯერობით დაუდგენელი ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ ჩუხრუკიძეების ოჯახს.

თავდამსხმელებმა საცხოვრებელ სახლში კარიდან შეაღწიეს. ოჯახის წევრებს უბრძანეს დაეჩოქათ, სწორედ ამ დროს ოჯახის უფროსმა, 50 წლის გივი ჩუხრუკიძემ მეზობლების საშველად მოსახმობად ფანჯრიდან გადახტომა სცადა, მას სახლის გარეთ მყოფმა შეიარაღებულმა ნიღბიანებმა ცეცხლი გაუხსნეს და ავტომატის ჯერით გადაცხრილეს. გივი ჩუხრუკიძე ქარელის საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა.

ოჯახის წევრები და ჩუხრუკიძეების ახლობლები თავდასხმის მოტივებს ვერ ასახელებენ. ამ ეტაპზე ერთ-ერთ ვერსიად განიხილება ყაჩაღობა, თუმცა ოჯახის დიასახლისი მარინე ჩუხრუკიძე ამ ვერსიასაც გამორიცხავს. მისი განცხადებით, სახლში შესვლისას ნიღბიანებს არაფერი მოუთხოვიათ.

ჩუხრუკიძეების ოჯახზე თავდასხმა რამდენიმე კვირის წინათაც მოხდა, თუმცა თავდამსხმელებს არაფერი წაუღიათ. ოჯახის უფროსი გივი ჩუხრუკიძე მაშინ სახლში არ იმყოფებოდა.

ძალოვანებს ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. თავდამსხმელთა ვინაობა ამ დრომდე დაუდგენელია. დაზარალებულთა თქმით, თავდამსხმელები ოსური აქცენტით საუბრობდნენ. შეიარაღებული ნიღბიანები სოფელ დვანის მახლობლად მიიმალნენ. **ინტერპრესნიუსი**

ქუთაისში კრიმინალური ავტორიტეტი ჩაცხრილეს

გუშინწინ, გვიან ღამით, ქუთაისში, საკუთარი სახლის წინ კრიმინალური ავტორიტეტი, 45 წლის ზაალ ცქიფურიშვილი მოკლეს. ჯერჯერობით უცნობია, რა ვითარებაში და ვინ მოკლა ცქიფურიშვილი.

იგი სამართალდამცველებმა ალმაშენებლის ქუჩაზე, საკუთარი სახლის წინ, მის კუთვნილ ავტომანქანა "ნივაში" გარდაცვლილი იპოვეს. მას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება.

ცხედარი ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოს პროზექტურაში გადაიტანეს, უკვე ჩატარდა ექსპერტიზაც. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იმერეთის სამხარეო პოლიცია იძიებს.

ზაალ ცქიფურიშვილი წარმოშობით ტყიბულელია, იგი ამ რაიონში ყველაზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტად ითვლებოდა.

იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ლევან კახიანის განცხადებით, გარდაცვლილი რამდენჯერმეა ნასამართლევი, მათ შორის - ყაჩაღობის მუხლით.

გამომძიებლები რამდენიმე ვერსიაზე საუბრობენ, ერთ-ერთი ვერსიით, ზაალ ცქიფურიშვილი ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლებს შორის ანგარიშსწორებას ემსხვერპლა. **ინტერპრესნიუსი**

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" განცხადება

2005 წლის 11 ოქტომბრის გაზეთ "24 საათში" (N225) გამოცხადებული, ბათუმის ნავსადგურში ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვ ა დ ა გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ უ ლ ი ა ამა წლის 04 ნოემბრამდე.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო კომისიას დალუქული პაკეტით უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება ტენდერში მონაწილეობისათვის;
- პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მოკლე ინფორმაცია პირის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულებისა და გამოცდილების შესახებ;
- ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნის პროექტი და სრული ხარჯთაღრიცხვა;
- საგარანტიო მომსახურების პირობები.

სატენდერო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა **მოხდება 2005 წლის 7 ნოემბერს 15.00 საათზე**, ტენდერში მონაწილეთა თანდასწრებით, რის შემდეგაც კომისია გააგრძელებს მუშაობას თითოეული სატენდერო წინადადების ცალცალკე განხილვაზე, მათი წარმომდგენი პირების მონაწილეობით.

საბოლოო შედეგები ტენდერში მონაწილეებს ეცნობებათ წინადადებების განხილვიდან 5 დღის განმავლობაში.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ნავსადგურისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებითა და ღირებულებით ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნა.

ტექნიკური სპეციფიკაცია და სხვა დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914 ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება 74912 (11-22), (893) 918165.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"

ფეხბურთი

რონალდუ თავდებით გაათავისუფლეს

პორტუგალიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ, რომელსაც საფრანგეთის მოქალაქის გაუპატიურებაში ედება ბრალი ციხიდან თავდებით გაათავისუფლეს.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი თვითონ მივიდა პოლიციაში, სადაც აღნიშნულ ფაქტზე ჩვენება მისცა. გოგონამ განაცხადა, რომ ორ ოქტომბერს ის, თანამემამულე გოგონასთან ერთად ლონდონის ბარ "მოვიდაში" რონალდუსა და მის ნათესავს გაეცნო. შემდეგ ახალგაზრდები სასტუმრო "სანდერსონის" ნომერში განმარტოვდნენ, სადა ორი საათის განმავლობაში ალკოჰოლურ სასმელებს მიირთმევდნენ.

გოგონას თქმით, ამის შემდეგ ორივენი პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელმა და მისმა ნათესავმა გააუპატიურეს. დაზარალებულებმა დილის ხუთ საათზე საავადმყოფოს მიმართეს, ხოლო ორშაბათ დილას კი პოლიციაში მივიდნენ.

პოლიციამ გადაწყვიტა დაკითხვის მიზნით ფეხბურთელი, რომელსაც ერთი თვის წინათ მამა გარდაეცვალა, დაეკავებინა. სკოტლანდ-იარდის წარმომადგენლის თქმით, ფეხბურთელი თვითონ გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც დააკავეს კიდეც. რონალდუმ ჩვენება მისცა. მას თითების ანაბეჭდები აუღეს და სპერმის ანალიზი გაუკეთეს.

ცხრა საათის შემდეგ ფეხბურთელი თავდებით გაათავისუფლეს. თავდების თანხა არ გამომზეურებულა. დაიკითხა რონალდუს ნათესავიც, მაგრამ არა როგორც დაკავებული, არამედ, როგორც მოწმე. ამ საქმის შესახებ პოლიციის წარმომადგენლებს ჯერჯერობით სხვა არაფერი უთქვამთ.

საქმის დეტალებზე ისაუბრა ფეხბურთელის აგენტმა ჟორჟე მენდეშმა. "პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხვის მიზნით ადამიანის დაკავება ჩვეულებრივი ფორმალობაა, რომელიც ბრიტანეთის კანონებით არის გათვალისწინებული, მაგრამ არ აისახება პორტუგალიურ კანონმდებლობაში - განაცხადა მან - სიმართლე ის არის, რომ რონალდუ წინასწარ შეთანხმებული იყო პოლიციასთან, რომ ის გაუპატიურების შესახებ საქმის ირგვლივ დაიკითხებოდა. სწორედ ამ მიზნით გამოცხადდა ის საკუთარი ნებით პოლიციის განყოფილებაში".

აგენტის თქმით, თვითონ ის ფაქტი, რომ რონალდუ მხოლოდ ახლახანს დაკითხეს იმაზე მეტყველებს, რომ გამოძიება თავისი დინებით მიმდინარეობს და აქამდე რონალდოს დაკითხვის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. საერთოდ კი მენდეში დარწმუნებულია, რომ გაუპატიურების ფაქტი ფრანგი გოგონას დიდი ფანტაზიის ნაყოფია.

"გამოძიება აჩვენებს, რომ ამ ბრალდებას არანაირი საფუძველი და რეალური ფაქტი არ გააჩნია და გასაგებია, რომ ეს არის ფრანგი ქალბატონის ფანტაზიის ნაყოფი. იმ მიზნით, რომ ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით და დიდი გასამრჯელოს სანაცვლოდ პოლიციიდან განცხადება გამოიტანოს - განაცხადა კრიშტიანუ რონალდუს აგენტმა - ამის თაობაზე ისიც მეტყველებს, რომ დაზარალებულებმა პოლიციას მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს, რაც ვერ მოახერხეს თავისი ისტორია ბრიტანული პრესისთვის მიეყიდათ".

კრიშტიანუ რონალდუს ქალის გაუპატიურებაში სდებენ ბრალს.

საინტერესოა, რომ რონალდუს წინააღმდეგ თავიდან ორივე ქალბატონმა დაწერა განცხადება, მაგრამ მოგვიანებით ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადი უკან გამოიტანა. მენდეშის თქმით, ფრანგის მთავარი მიზანი ამ საქმეზე გამდიდრებაა.

"ფეხბურთელის ადვოკატებს, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულნი - ჯეიმს ჩეპმენს და კარლოს ოსორიუ დე კასტროს, არა მხოლოდ ამ პროცესის გაძლოლა ევალებათ, არამედ, იურიდიული ზომების მიღება იმისთვის, რომ ამ საქმით ფრანგმა გოგონამ ვერ იხეიროს - განაცხადა აგენტმა - რონალდუს წინააღმდეგ ბრალდება მოგონილია, ხოლო გამოძიება აჩვენებს, რომ ეს ბრალდება რეალურ საფუძველს მოკლებულია".

უახლოეს პერიოდში ფეხბურთელს კიდევ მოუწევს პოლიციაში მისვლა ამ საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად. საერთოდ ინგლისურ ფეხბურთში მსგავსი მოვლენები საკმაოდ ხშირად ხდება. ეს გასაგებიც არის. ინგლისურ პრემიერლიგაში უდიდეს თანხას იხდიან და ბევრი ფეხბურთელი, როცა პროფესიონალურ კონტრაქტს აფორმებს სიამოვნებით ეშვება ცოდვების მორევში. თუმცა ფეხბურთელების მიერ ქალთა გაუპატიურების ფაქტების დამტკიცება ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი
მ ო წ ვ ე ვ ა კ ო ნ კ უ რ ს ზ ე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციის - დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ოფისის რეკონსტრუქციის პროექტის მოსამზადებლად

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (GEF TF 023968 GE) განმახორციელებელ სააგენტოს (PIU), აცხადებს კონკურსს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისროს საქვეუწყებო ორგანიზაციის - დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ოფისის (ინტერიერის) რეკონსტრუქციის პროექტის მოსამზადებლად.

დავალება მოიცავს:

ქ. თბილისში, გულუას ქ. N 6 მდებარე მრავალსართულიან შენობაში (საერთო ფართით 390 მ2) ინტერიერის რეკონსტრუქციის სრულფასოვანი პროექტის მომზადებას და შემდგომში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოს საავტორო ზედამხედველობას.

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის საპროექტო ორგანიზაციებს, რათა გამოხატონ კონკურსში მონაწილეობის ინტერესი. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო ინფორმაცია (საპრეზენტაციო ბროშურები, შესრულებული პროექტების აღწერა და ა.შ., სადაც ნაჩვენები იქნება როგორც ორგანიზაციის, ასევე პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, კურიკულუმ ვიტა), რაც დაადასტურებს მათ მიერ აღნიშნული ამოცანის მაღალკვალიფიციურად შესრულების შესაძლებლობას.

ორგანიზაციის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნება შემდეგი:

ოფისების პროექტირებისა და ინტერიერების რეკონსტრუქციის სრულფასოვანი პროექტების მომზადების გამოცდილება

- სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტების არსებობა

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია იურიდიულად რეგისტრირებულმა (არასახელმწიფო) ორგანიზაციებმა და საკონსულტაციო ფირმებმა უნდა წარადგინონ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დირექტორის - რატი ჯაფარიძის სახელზე, 2005 წლის 4 ნოემბრის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0179, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 9, V სართული, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი. სატენდერო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის - atevdoradze@gpadc.org.ge და ტელეფონის - 251566 საშუალებით, ცენტრის შესყიდვების მთავარ სპეციალისტთან - ანა თევდორაძესთან.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს "ენგურჰესის" მიერ გამოცხადებული ღია ტენდერში, ჰიდროაგრეგატის მიმმართველი აპარატის ნიჩბების რეაბილიტაცია, გამარჯვებულად გამოცხადდა სს "ქუთაისის ავტოქარხანა" შპს "ინდუსტრია" და მასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

შპს "ენგურჰესის" სატენდერო კომისია.

OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს ასფალტის დაგებაზე

ფართი - 1290 კვადარტული მეტრი, ასფალტის სისქე - 4-5 სანტიმეტრი,

ამჟამად არსებული საფარი - ბეტონი

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერსებულმა კომპანიებმა უნდა გაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

1. კომპანიის მოკლე აღწერილობა;
2. კომერციული შემოთავაზება

ინგლისურ ენაზე, მისამართზე, Kris.Czekalowski@osce.org

ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა:
2005 წლის 26 ოქტომბერი, 15:00.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ა უ ქ ც ი ო ნ ს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური იწვევს დაინტერესებულ პირებს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების (წიდას) რეალიზაციის მიზნით გამართულ აუქციონში მონაწილეობისთვის. სარეალიზაციო საქონლის მონაცემებია:

დასახელება	წონა (ტონა)	საწყისი ღირებულება (აშშ დოლარი)	ბიჯი (აშშ დოლარი)
სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები (წიდა)	2054	205400	4108

აღნიშნული საქონელი განთავსებულია ნავსადგურის ტერიტორიაზე. აუქციონზე გამარჯვებულს ევალება გაიტანოს იგი ტერიტორიიდან ხელშეკრულების ხელმოწერიდან **15 დღის ვადაში**.

გამყიდველი: შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური".

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 20 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს სს "თი ბი სი ბანკი'-ს ბათუმის ფილიალში, ბანკის კოდი: მფო 220101835, ანგარიშის ნომერი 34700347.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს ნავსადგურის მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან **10 დღის** განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის არსებული საბირჟო კურსით.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 24 ოქტომბრიდან 2005 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე (შპს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება).

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 11 ნოემბერს 15 საათზე, მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N11, მეორე სართული, ბათუმის ნავსადგურის სააქტო დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი ბილეთის საბანკო ქვითარი.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, აგრეთვე, ქონების შეძენისა და აუქციონში მონაწილეობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება.

დამატებითი ინფორმაცია სარეალიზაციო საქონლის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"

სგსე UEDC საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია UNITED ENERGY DISTRIBUTION COMPANY OF GEORGIA

განცხადება

სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" სურს მისაბმელიანი მოტოციკლების შესყიდვა ონიაშვილის ქ. N6, 0160. თბილისი

შესყიდვის ობიექტებია:

ლოტი N	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	მისაბმელიანი მოტოციკლი	30 ერთეული	ქ. თბილისი

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 28 ოქტომბრის 16:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. N6, ტელ: **387199, 387499**

სავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):

2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):

3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):

4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენდტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია:
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;
4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

დაინტერესებულ პირს შესყიდვაში მონაწილეობის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტექნიკური მოთხოვნები და სპეციფიკაციები პრეტენდენტებს გადაეცემათ მისამართზე - "სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", ონიაშვილის N6, **2005 წლის 1 ნოემბრის 16:00 საათამდე**.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - **თამაზ ჯანუაშვილს, ტელ: 38 71 99, (შიდა - 127) ონიაშვილის N6**

ერთი წარმოდგენის ორი ამბავი

სოფო კილასონია

მართალია, დავით საყვარელიძე მედიისა და საზოგადოების ყურადღებას არცთუ იშვიათად იპყრობს, მაგრამ დიდი ხანია ჩვენთვის დრამის თეატრში არ დაუთქვამს პაემანი. "თეატრი "გლობუსი" დავით საყვარელიძის სპექტაკლს წარმოგვიდგენს" - ამგვარი ფრაზა ოდნავ მოულოდნელიც იყო და ძალიან სასიამოვნოც, მით უფრო მაშინ, როცა თბილისის პატარა თეატრები და მათი საკმაოდ მრავალრიცხოვანი რეჟისორები საინტერესო ნამუშევრებით დიდად ვერ გვანებივრებენ, დავით საყვარელიძე კი უკვე წელიწადზე მეტია, რაც ოპერის რეჟისურის მიმართულებით მუშაობს და აკადემიური თეატრის ყოვლისშემძლე ხელმძღვანელად მოიაზრება. იმის მიუხედავად, რომ საქმე, როგორც დირექტორს, საკმაოდ აქვს, მის მიერ ჩამოყალიბებული კავკასიური თეატრის ლაბორატორია არ დავიწყნია, საინტერესო პიესების ძიება გაუგრძელებია და პატარა ორიგინალური იდეაც განუხორციელებია. იდეა, რომელსაც ამ შემთხვევაში სლობოდან შნაიდერის პიესა სახელად "გველის ტყავი" ჰქვია, ანუ სპექტაკლი, რომელიც გუშინ საღამოს წრიულ სცენაზე ვიხილეთ, წარმოდგენა რომელმაც სასიამოვნო განწყობა გამოგვატანა ათონელის ქუჩიდან წამოსულებს.

"გლობუსმა" გუშინ რეჟისორის ნაცნობ-მეგობრებს, მსახიობებს, თეატრალებსა და მათ აზერბაიჯანელ კოლეგებს უმასპინძლა. "გველის ტყავი" კავკასიური ფონდისა და აზერბაიჯანის სოროსის ფონდის ერთობლივი პროექტია. თავდაპირველად აზერბაიჯანის სახელმწიფო თეატრის "იუნგის" რეჟისორმა გუნაი სატაროვმა გაგვახსენა, თუ რა საინტერესო ადამიანი გახლავთ და როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ ჩვენს წარმატებულ რეჟისორს. საყვარელიძეს სპექტაკლი თურმე სულ რაღაც ათ დღეში დაუდგამს. ხორვატი დრამატურგის სლობოდან შნაიდერის პიესა "გველის ტყავი" თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს იუგოსლავიის უახლესი ისტორიისა და იქ არსებულ რელიგიათა შორის დაპირისპირების ფონზე შლის. პიესის იგავურმა სტილმა, როგორც ვხვდებით რეჟისორს საშუალება მისცა, მისთვის საყვარელი და ყველაზე ახლობელი ფორმისთვის მიეგნო, ფორმისთვის, რომელსაც წარმოდგენის მრავალფენიანობა შეიძლება დავარქვათ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის ტექსტებისა ვერაფერი გავიგეთ რა, მიუხედავად იმისა, რომ აზრები თანმხლები მუსიკით, ინტონაციითა და მიმიკებით უნდა გაგვეგო, მაინც მივხვდით, რომ რეჟისორმა ძალიან მარტივად და ერთი ამოსუნთქვით ააგო სპექტაკლი, თუ აქამდე მის ნამუშევრებში სადღაც მაინც იგრძნობოდა ფარსისა და კომიზმის ფარგლებში დრამატიზმის ძიება, ამ შემთხვევაში, საკმაოდ პრობლემატური და რეალური სიუჟეტის ფონზე, მან სრული იგნორირება გაუკეთა ბუნებრივად მოსულ პესიმისტურ განწყობას და მთავარი აქცენტები მაინც სცენათა ცვალებადობას, სიუჟეტურ მონაცვლეობასა და იუმორნარევ მომენტებზე გააკეთა. შესაძლოა ამგვარი შედეგი რეჟისორმა მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ მან "სპექტაკლის ჟანრი განსაზღვრა, როგორც "სპექტაკლის პროექტი", რაც იმ გარემოებამ განაპირობა,

დავით საყვარელიძე

რომ სპექტაკლი ათ დღეში დაიდგა და პიესამ თეატრის სპეციფიკიდან გამომდინარე კარდინალური ადაპტაცია განიცადა."

"იუნგის" სპეციფიკა კი საკმაოდ საინტერესო ყოფილა. პირველი იმიტომ, რომ იგი ინტელექტუალური სირთულეების დაძლევისთვის ყოფილა მოწადინებული, ამას გარდა მისთვის სწორედ ის ყოფილა დამახასიათებელი, რამაც ქართველი რეჟისორი, მგონია, ყველაზე მეტად მოხიბლა. თურმე აზერბაიჯანელი მსახიობები მუდამ იმ ნაწარმოებებს თამაშობენ, რომლებიც ორი სიუჟეტის ერთდროულად განვითარების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. რეჟისორმა, რომელიც მუდამ იმას ეძებს, რაც დრამატურგებს არ უწერიათ, მაგრამ ტექსტებს მიღმა აქვთ ნაგულისხმევი, ამ შემთხვევაშიც რამდენიმე რეალობა დააკავშირა. პირველი ის, რომელსაც პირველს აწვდის მაყურებელს: ომი და ძალადობის მსხვერპლი, რელიგიათა შორის არსებული საერთო და განსხვავებული და მეორე: ძველი, მითიური, ბიბლიური და სიმბოლური "ამბავი მოგვებზე." ორმაგი თხრობის ერთობას კი, რომელიც საკმაოდ რთული მისაღწევია, რეჟისორმა იუმორის საშუალებითა და, როგორც ამიხსნეს, საინტერესო და "გამართული" დიალოგებით მიაღწია. დავით საყვარელიძე წარმოდგენითა და თეატრ "იუნგის" მსახიობებით საკმაოდ კმაყოფილი გახლდათ: "ეს თეატრი არის ძალიან საინტერესო, მას თავისი პრინციპები გააჩნია, როცა ერთს ჰყვებიან, მეორე ყოველთვის იქარგება წარმოსახვაში, ამ შემთხვევაში ეს არის ბიბლიური თემა. ძალიან შემიყვარდა ეს ხალხი, ძალიან ყოჩაღები და ნიჭიერები არიან. მინდა, რომ მათთან რამენაირი გზით მუშაობა გავაგრძელო, საერთოდაც მინდა, რომ საქართველოსთან ურთიერთობა ჰქონდეთ. აზერბაიჯანი, თურქეთი და ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ. ოპერაშიც ვაპირებთ, რომ მათთან ერთად გავიდეთ შორს, იქ სადაც საჭიროა... აზერბაიჯანი ის არაა, რადაც კომუნისტებმა ის აქციეს, აზერბაიჯანი არის ძალიან ღრმა კულტურის ხალხი და მათ აქვთ ირანისგან, თურქეთისგან საოცრად განსხვავებული კულტურა. მათ მუსულმანობაც თავისებურად თბილი აქვთ. ჩვენი მეზობლები არიან, ჩვენ კი მათ და მათსავე კულტურას საერთოდ არ ვიცნობთ, მსახიობებთან მუშაობა ძალიან გამიადვილდა, ნეტავ ასე მისმენდნენ ხოლმე მათი ქართველი კოლეგები."

სპექტაკლში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი მუსიკალურ გაფორმებას ეთმობა, მით უფრო მაშინ აქცევს მას ყურადღებას მაყურებელი, როცა აზერბაიჯანელი მსახიობებისა არა ესმის რა. მუსიკალური ნაწილი კი ვატო კახიძის შემოქმედება ყოფილა. სწორედ ამიტომაა, რომ წარმოდგენა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი, მისი საშობაო თემით არის შეკრული.

სპექტაკლის პრემიერა ბაქოში 30 სექტემბერს გამართულა. როგორც დავით საყვარელიძემ მითხრა, იმ მაყურებლის რეაქციები საკმაოდ განსხვავებული ყოფილა ჩვენი ემოციებისგან. ჩვენ, ალბათ, ბევრი ვერ შევნიშნეთ, ბევრიც გამოვტოვეთ, საერთოდაც სპექტაკლს ვუყურეთ, როგორც გარკვეულ აქცია-პერფორმანსს, დიალოგები კი ნიშნებად აღვიქვით. ფაქტია, რომ ქართველი რეჟისორის კიდევ ერთ წარმატებულ დადგმას აზერბაიჯანელი თეატრალები უფრო დააგემოვნებენ, ვიდრე ქართველები, მაგრამ ამის მიუხედავად "გლობუსში" გუშინ საღამოს თავმოყრილმა საზოგადოებამ მაინც გაიგონა აზერბაიჯანელი მოგვების მრავალმნიშვნელოვნად ნათქვამი ფრაზა: "მაინც, სად ვეძებოთ ვარსკვლავი", ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, ქართველმა მაყურებელმაც მიაგნო იმ აზრებს, რომელსაც ხორვატი დრამატურგი წერს და იმ "ინტერნაციონალურ ფორმებს," რომლითაც დავით საყვარელიძემ სპექტაკლი, როგორც მისი ანარეკლი და პროექტი, მართლაც, რომ გაათამაშა.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ, ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეფერალური დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: რეფერალური დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ვ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 24 ოქტომბრიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, თინათინ ხეჩინაშვილი ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

სატენდერო კომისია

განცხადება

ქ.ზესტაფონის გამგეობა აცხადებს ტენდერს შემდეგზე:

ქ.ზესტაფონში, კვალითის დასახლების წრიული გზის მარჯვენა მონაკვეთის კაპიტალური შეკეთება, 830 გრძივი მეტრი, საშუალო სიგანე 10 მეტრი. სულ 12095კვ.მ. ორმოული დამუსავება 3073 კვ.მ.

ქ.ზესტაფონის გამგეობა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან 15 კალენდარულ დღეში, შემდეგ მისამარტზე: ქ.ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა№ 11. ადმინისტრაციული შენობის მეორე სართული.სატენდერო კომისია. 10-დან 17-სთ-მდე.

პრეტენდენტი იურიდიული პირებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმე.

ბ) ნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ , ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დ) სატენდერო მოსაკრებლის ქვითარი 500 ლარის ოდენობით.

ე) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

პრეტენდენტი ფიზიკური პირებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზილური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ, ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) სატენდერო მოსაკრებლის ქვითარი 500 ლარის ოდენობით.

ე) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

პრეტენდენტი, იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ზემოთ ჩამოტვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება საბუთების მიღების ვადის გასვლიდან 3 დღის ვადაში.

სატენდერო დოკუმენტაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს გადაეცემა სატენდერო მოსაკრებლის ქვითრის წარდგენისთანავე.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტების თანდასწრებით, აბუტების მიღების ვადის გასვლიდან მე-10 დღეს 13 საათზე.

გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს, ღია კენჭისყრის საფუძველზე, სატენდერო კომისიის მიერ.

დამატებითი ინრორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №11. მეორე სართული. ტელ: (292) 5-20-99; (99) 41-61-38; (99) 22-61-20.

სატენდერო კომისია.

ზესტაფონის რაონის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ 2005 წლის 18 ოქტომბრის გაზეთ "24 საათში" N230-ში გამოქვეყნებულ ღია ტენდერის განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ზესტაფონის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ 2005 წლის 18 ოქტომბერს გაზეთ "24 საათის" N230-ში გამოქვეყნებულ ღია ტენდერის განცხადებაში, "ზესტაფონის რაიონის სოფ. II სვირში N 1 სკოლის მშენებლობის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის "8" პუნქტის შესაბამისად შევიდეს შემდეგი ცვლილება და არსებული განცხადების მე-5 მუხლის "ზ"-ე პუნქტი მთლიანად იქნას ამოღებული.

სს "საქართველოს ბანკი" აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანება შემდეგი ავტომანქანები:

Ford EXPEDITION - გამოშვების წელი 1998 - საწყისი ფასი 68442 ლარი.

MERSEDES-BENZ300- გამოშვების წელი 1992 - საწყისი ფასი 11 387 აშშ დოლარი.

DODGE DURANGO- გამოშვების წელი 1999 - საწყისი ფასი 58422 ლარი.

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 4 ნოემბერს 14:00 საათზე სს"საქართველოს სახალხო ბანკი" - ს სათაო ოფისში მდებარე ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74, მეორე სართული საკონფერენციო დარბაზი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 55-55-00, დამატებით 143-146

ყურადღება!
რესტორანი
''დაკარგული სამოთხე''
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ
საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები
ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
ლელა ბერიძის ფილმში
"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!

ლაშა ბუღაძის სვეტი

"იმედი", გადაცემა "ალავერდი თქვენთან"

ანუ დიდი ჭამის ისტორიები

წამყვანი გოგონა. თუკი რამე დგას ჭეშმარიტი ქართული ტრადიციებისა და სულიერების სადარაჯოზე, ალბათ, ეს სწორედ ჩვენი გადაცემაა. აი, მართლაც ღირსეული, ნაღდი... ლამაზი ქალაქელების ქეიფები... მოდით, სიმღერებში, ჭამაში, ცეკვაში გავეჯიბროთ ერთმანეთს...

დავითვალოთ, ვინ უფრო ხშირად გავა სუფრიდან ტუალეტში?!.. არ არის ეს საინტერესო?.. ხო ღირს ამისთვის ეთერის დათმობა!.. გადაცემის ბიუჯეტის შედგენა?!.. კიდევ კარგი, ბატონი ბადრი დაარწმუნეს, რომ ამ სატელევიზიო ქეიფებში ნამდვილად ღირს ფულის გადახდა!.. ჯერ სიმღერებში შევეჯიბრებით ერთმანეთს, ბატონო ბადრი... აბა, მოუსმინეთ!.. სულ, სამი სუფრა გვაქვს: ასაკოვანების - ანუ, სტალინ-მჟავანაძის თაობის, შუალედურების - ანუ, შევარდნაძე-გუმბარიძის და ნორჩების - შევარდნაძე-ტატულია მარგველაშვილის თაობის...

(პირველ სუფრაზე ასაკოვანი მამაკაცები სხედან და წვალებით, ხველებ-ხველებით მღერიან. თან, კამერებისკენ აპარებენ თვალებს. რამდენიმეს წნევაც აუწევს. მეორე სუფრაზე კი ისე იჭაჭებიან, რომ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ხმებს ღიპებიდან უშვებდნენ. ხოლო მესამე სუფრა, ცოტა არ იყოს, უსმენოდ და "იაზვურად" მღერის. მათ სუფრას ვიღაც ქალბატონიც ესწრება და რაკი ინერციით ყველა მას ეპრანჭება, ახალგაზრდების "მრავალჟამიერი" ოდნავ ძველბიჭურად ჟღერს.)

წამყვანი გოგონა. ეხლა ამბების მოსმენის დროც მოვიდა.

ასაკოვანი კაცი პირველი სუფრიდან. ზესტაფონში ვართ... სამოცდაორი... არა, ვიტყუები... სამოცდასამი წელია... დიდი სუფრა გაიშალა... უბრწყინვალესი თამადა იყო - ცალხელა... უმად ჭამდა ღორის ხორცს... და გოჭს, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაკვლამდე აჭამდა ყურებს... მოწონდა გოჭის ჭყვიტინი, გემოს უფრო ვატანო... ერთხელ, ვიღაც რუსი ქალი იჯდა სუფრაზე და ოთხი ჭიქის მერე ცერათითი მოვაჭამეთ... ჩვენც ვიყავით, ბატონო, დისიდენტები!

კაცი მეორე სუფრიდან. (ასრულებს რაღაც უზრდელურ ანეკდოტს) ...ხოდა, პროქტოლოგს მიაკითხე, ეგ უკეთ გიცნობსო. (გაიცინებს და სხვებსაც გააცინებს).

ყმაწვილი მესამე სუფრიდან. (ეცეკვება იმ ერთადერთ ქალბატონს, რომელიც მათ სუფრას ამშვენებს. თან ეძველბიჭება, თან ეპრანჭება) რამე არ შეგეშალოთ, დაიკო... ჩვენი სიამაყე ხართ ქართველი ქალები... ბუკიის ბაღელებს იცნობ?.. გაგიმარჯოთ!.. ვერელებს?.. ხო არ გინდა ეხლა ფეხსაცმელი გაგხადო და შიგ ღვინო ჩავასხა?..

წამყვანი გოგონა. როგორ მოწონს საზოგადოებას ჩვენი გადაცემა!.. ნუ, იცით, ხალხი როგორი კმაყოფილია?!.. ძლივს არ ვნახეთ რაღაც ნორმალური?!..

ასაკოვანი კაცი პირველი სუფრიდან. (ომახიანად ამბობს ლექსს, თუმცა სიტყვები არ ისმის)

და საქართველო... ჰყავის... ებულად!

ირმის ნატერფალს... ქებულს... დასისხულს,

ცრემლად ტატნობი... ვახ რომ... აი რად!

რაშებს... ჟამიერ!.. გამარჯვებული!

კაცი მეორე სუფრიდან. (ყანწით ხელში) გვიყვარდეს, ხალხო... მთავარია, ჩვენი ქვეყანა გვიყვარდეს!..

ახალგაზრდა კაცი მესამე სუფრიდან. სიყვარული... ბედნიერება... რა ვიცი... არაფერი არ მენანება, რა, ჩემი ქვეყნისთვის!

ქალი მესამე სუფრიდან. (ბოლო-ბოლო, ესეც იტყვის სადღეგრძელოს)

ამინ!.. აი, მართლაც ამინ!.. გაგიმარჯოთ!..

წამყვანი გოგონა. დღევანდელი ჩვენი გადაცემა დასასრულს უახლოვდება. ჩვენი სტუმრები თავთავიანთ საქმეებს უბრუნდებიან - ზოგს თავისი "მარშრუტკის" ხაზი აქვს გასაკონტროლებელი, ზოგი საბაჟოზე უნდა ჩავიდეს ამ ღამესვე, ზოგმა რაღაც ახალი "წილის" ამბავი უნდა დააზუსტოს... ჩვენ კი, ძვირფასო მაყურებლებო, კვლავაც თქვენი დაკვეთის შესრულებას გავაგრძელებთ - როგორც ჩანს, ჩვენი გადაცემა, მომავალში, სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდება... თქვენც ხომ ეს გინდათ?

ნინია კაკაბაძის სვეტი

ობიექტური რეალობა

აბსურდი. რაც დრო გადის, მასთან ერთად სკეპტიკური დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ იზრდება. ძალიან სუბიექტური თვალსაზრისით, ვგრძნობ, შინაგანად ვხარობ მაშინ, როდესაც ის ერთეულები, რომელთაც ჯერ კიდევ ადამიანის სახე აქვთ, მთავრობიდან მოდიან და ოპოზიციურ ფრთას აძლიერებენ. რასაკვირველია, ვერც იმ რეალობას გავექცევით, რომ ოპოზიციას ახალი ძალები და სახეები სჭირდება და მით უმეტეს სჭირდება ისეთი სახე, როგორიც ქალბატონი სალომე ზურაბიშვილია.

ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობაშია. პრემიერ-მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრის საკითხზე განცხადებით გამოდის და ამბობს: ყველასათვის ცნობილია საქართველოს ძალიან წარმატებული საგარეო პოლიტიკის შესახებ, რაც პრეზიდენტის და მისი გუნდის დამსახურებააო. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის როლი წარმატებულ საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოა. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ განცხადება სრულიად აბსურდულია, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ჩვენ აბსურდული განცხადებების მოსმენა და მასზე დაფიქრებაც გვიწევს. პრემიერ-მინისტრის განცხადება, გარდა აბსურდულისა, სამწუხაროც არის. სამწუხაროა, რომ საქართველოში არც ერთი წარმატება თუ წარმატებული პოლიტიკა არ უკავშირდება იმ კონკრეტულ უწყებას, რომლის სახელითაც ხორციელდება წინსვლები, ყველაფერს პრეზიდენტი და დიადი პარტია აკეთებს. დიადი პარტია ის ზოგადი ცნებაა, რომელიც ბევრ უფერულ სახეს შეიცავს. პრემიერ-მინისტრის განცხადების არსი, სწორედ ეს იყო, თუმცა მაინც რთული დასაჯერებელია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის წვლილი, უდავოდ წარმატებულ საგარეო პოლიტიკაში, მცირედი იყოს.

პრეტენზია. ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია სალომე ზურაბიშვილის მიმართ ის არის, რომ ის პარლამენტის სხდომაზე არ გამოცხადდა და გულგრილობა გამოიჩინა პარლამენტარების მიმართ. როგორც ცნობილია, მინისტრებისგან ამგვარი ქმედება უკვე ჩვევად იქცა. ამის დასაზუსტებლად საკმარისია, გავიხსენოთ, უკანასკნელად როდის მოვკარით თვალი პლენარულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს და თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს. რატომ ეპატიებათ მათ ამგვარი გულგრილობა, გაუგებარია?! აბა, ბატონი დავით კეზერაშვილის მისამართით ვინ გაბედავს უკმაყოფილების გამოხატვას, რომელიც სამჯერ მიიწვიეს პარლამენტში და არც ერთხელ არ გამოცხადდა.

უცხო სხეული. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის განცხადებიდან ყველაზე მეტად ერთი დამამახსოვრდა: "რასაკვირველია, მე თავიდანვე უცხო სხეული ვიყავი მათ რიგებში". მართალია. მაშინ, როდესაც ჩაცხრა რევოლუციური ეიფორია, ზურაბიშვილის მსგავსად, მოცემულ საპარლამენტო მასაში, რამდენიმე უცხო სხეული აშკარად შეინიშნებოდა. ზოგი მათგანი გამოეყო ძირითად მასას, ზოგი კი გარდაიქმნა. მაგალითად, ბოკერია აშკარად ჯანსაღი სხეული იყო, რომელმაც არაჯანსაღი მეტამორფოზა განიცადა და გრეგორ ზამზას მსგავსად, ბესო ჯუღელის სახით მოგვევლინა.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე უცხო სხეული დღევანდელ ხელისუფლებაში თუ ზოგადად უმრავლესობაში კიდევ არსებობს. ახლა ისღა დაგვრჩენია, განათლების სფეროში ჩატარებული რეფორმები დიად პარტიას და მის ლიდერს მივაწეროთ, მინისტრი გიჟად შევრაცხოთ და ქაჯეთის ციხიდან განვდევნოთ.

კლინიკა. დღეს ბევრს საუბრობენ ფსიქიურად გაუწონასწორებელ, ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსებზე. მაგალითად, ისევ დიადი პარტიის სპიკერს და იდეოლოგს დავუბრუნდებით და ვიტყვით, რომ დეპუტატი ბოკერია აცხადებს: სალომე ზურაბიშვილი არაჯანსაღი მოვლენაა და აშკარა ფსიქიურ აშლილობასთან გვაქვს საქმე (მისი გამოსვლის შინაარსი ამგვარია). ფსიქოანალიტიკური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანა ფროიდი, ამგვარ **მე** დაკარგულ, ჯუღელად თუ ბექაურად ქცეულ ადამიანებზე, მის კვლევით ნაშრომში "თავდაცვის მექანიზმები" წერს: "ასეთი ადამიანი სხვებს აწერს იმ თვისებებს, რომელიც მისთვის არის ორგანული და არ უნდა, რომ თავად ჰქონდეს, არ უნდა, რომ გააცნობიეროს. იმ უარყოფით ემოციებს, რომელიც შესაძლებელია მის საწინააღმდეგოდ შემოტრიალდეს, სხვისკენ მიმართავს და ამ გზით შესაძლებელს ხდის, შეინარჩუნოს მაღალი წარმოდგენა საკუთარ თავზე". ბოკერიას განცხადების მეორე ნაწილი ამგვარია: "ეს შემთხვევა ჯანმრთელობის მინისტრის კომპეტენციაში შედის". ანუ ბოკერია ქალბატონ ზურაბიშვილს, ბატონი ლადო ჭიპაშვილის მეშვეობით, გზას კარგი ფსიქიატრისკენ თუ ფსიქოლოგისკენ უკვალავს. ანა ფროიდმა მისი კვლევის ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც "პროექცია" ჰქვია, ამგვარი ტიპური მოვლენები დეტალურად გაშიფრა (სამწუხაროდ, მისი სრულყოფილად გადმოცემა ჩვენს სვეტში არ ხერხდება, თუმცა ნარკვევი იმდენად საინტერესოა, აუცილებლობა მოითხოვს მომავალში სტატიის სრული ვერსიის დაბეჭდვას). ახლა კონკრეტულად, როგორ დეფინიციას უკეთებს ის ტიპურ ბოკერიებს: "პროექციის კანონი გვაჩვენებს, "პროფესიონალი" სუბიექტები გვირჩევენ იმას (სუბიექტი ამ შემთხვევაში **მე** დაკარგული პიროვნებაა), რაც თავად სჭირდებათ ყველაზე მეტად, და რასაც თავად ვერასდროს გაბედავდნენ, რომ გაეკეთებინათ". უკანასკნელ ციტატას ამჯერად კომენტარის გარეშე დავტოვებთ და თავს შევიკავებთ სუბიექტების მართებული მისამართით გაგზავნაზე.

მიტინგი. ზურაბიშვილის მისამართით ყველა ზემოთ აღნიშნული შეფასება მოსალოდნელი იყო. რასაკვირველია, არავინ ელოდა, რომ გუშინ დღის პირველ საათზე იპოდრომის ტერიტორიაზე ამდენი ადამიანი შეიკრიბებოდა. განწყობა და დამოკიდებულება მიტინგზე (უფრო მართებული იქნება, მიტინგი სიტყვის ინგლისური თარგმანით მივიღოთ, როგორც **შეხვედრა**), საკმაოდ ჯანმრთელი იყო. ყველას ერთი სურვილი ამოძრავებდა, დაინახოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომ ხალხს არ სძინავს და იმ ტყუილით არ ცხოვრობს, რომელსაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ქადაგებენ. რაც შეეხება ხალხს, რომელსაც ხან მანანა არჩვაძის შავრაზმელებს ადარებენ და ხან დაუკონკრეტებელ მანდილოსან პოლიტიკოსებს, მერწმუნეთ, ეს მცდარი შეფასებაა. იპოდრომზე ის ხალხი შეიკრიბა, ვინც გამანთავისუფლებელი მოძრაობის თუ ვარდების რევოლუციის საწყის ეტაპზე ღია ცის ქვეშ იდგა. მათ შემდეგ რაიონებიდან შემოუერთდა ხალხი. ყველა ამ ადამიანის მონაპოვარია ვარდების მშვიდობიანი რევოლუცია და გუშინდელი შეკრებით, მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს - ისინი საკუთარ მონაპოვარს უფრთხილდებიან და პასუხისმგებლობას გრძნობენ. ასე რომ, ვიყოთ ობიექტურები და გვქონდეს უნარი, დავინახოთ და ადეკვატურად შევაფასოთ რეალობა.